ფრანგულიდან ქართულად თარგმნა
ლაშა მედულაშვილმა 2010

К63.385
ვ

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-142-0

ნინასიტყვაობა

პლატონის ცხოვრებაზე

პლატონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 428-427 წლებში დაიბადა ათენში კოლიტოს ადმინისტრაციულ დანაყოფში (საბერძნეთში). დიოჟენ ლაერსის მიხედვით, მამამისი არისტონი წარმოშობით კოდროსიდან იყო. დედა- პეტრიქტიონე, შარმიდის და ტირანი ქრიტიას ალალი დეიდაშვილი წარმოშობით დროპიდედან ყოფილა. პლატონს ორი უფროსი ძმა ჰყავდა, ადიმანტე და გლოსონი და ერთი და პოტონე, რომელიც სპესიპეს დედა იყო. მისი მამა არისტონი ნაადრევად გარდაიცვალა, დედამისი კი ცოლად გაყვა პლატონის ბიძას პირილამპს, რომელთანაც გაუჩნდა ერთი ვაჟი სახელად ანტიპონი. როცა პლატონი გარდაიცვალა მისი ოჯახიდან გვარის გამგრძელებელი დარჩა ერთი ბიჭი-ადიმანტე, რომელიც თავისი ძმის შვილიშვილი იყო. ადიმანტემ აღადგინა პლატონის მემკვიდრეობა და ქსენოკრატეს დროს აკადემიის წევრი გახდა. სავარაუდოდ, პლატონის ოჯახის მემკვიდრეობა მასთან ერთად ჩაქრა და ამის შემდეგ მათ შესახებ არავის აღარაფერი სმენია.

ტრადიციის მიხედვით ბავშვი ატარებდა ბაბუის სახელს და პლატონსაც უნდა რქმეოდა ბაბუის სახელი არისტოკლე. რატომ დაარქვეს მას იმ დროისათვის პლატონი მიუხედავად ტრადიციისა? სიტყვა (პლატონი) ნიშნავს ლათინურად სიფართეს. დიოჟენ ლაერსის მიხედვით, სახელი პლატონი დაარქვა მისმა ფიზკულტურის მასწავლებელმა თავისი ტანის გამო, რადგან ის იყო ძლიერი და ჯანიანი, მაგრამ სხვები ამას ხსნიან სხვადასხვა მიზეზებით. პლატონი ზედმეტი სახელი იყო. სხვა ჰიპოტეზის მიხედვით მას შეარქვეს პლატონი სხარტი გონების გამო და ან კიდევ

ფართი შუბლის გამო. მის ოჯახს ჰქონდა სახლი კეპისიასთან ახლოს კეპისში, სადაც ბავშვს გაუჩდა ბუნებვრივი მოვლენების აღქმის უნარი, მაგრამ ბავშვობის დიდი ნაწილი სწავლა-განათლების მისაღებად ქალაქში გაატარა. როგორც დიდგვაროვანი ოჯახის შვილს მას ქალაქი უფრო შეეფერებოდა. თავდაპირველად შეისწავლა ღმერთების პატივისცემა, აკვირდებოდა რელიგიურ რიტუალებს,რომელიც ტარდებოდა ათენის შეძლებულ ოჯახებში ცრუ მორწმენისა და საიდუმლოებების გარეშე. ის მთელი ცხოვრების მანძილზე პატივს სცემდა რელიგიას, რომელიც შემდგომ აისახა მის ნაწარმოებში (კანონები). გარდა ფიზკულტურისა და მუსიკისა, რომელიც ათენის სწავლა-განათლების საფუძველს წარმოადგენდა, მიიჩნევდნენ, რომ მან შეისწავლა აგრეთვე ხატვა და ფერწერა. ის ეზიარა ფილოსოფიას ჰერაკლიტის მოწაფის კრატილის წყალობით, რომელიც შემდეგ მის ერთ-ერთ ნაწარმოებში აისახა. ის აგრეთვე ძალიან გათვითცნობიერებული იყო პოეზიაში. მოწმე იყო რა ერიპიდისა და აგატონის წარმატებების, მან შექმნა ტრაგედიული ნაწარმოები, ლირიული პოემები და ქება და ქება დიტირამბები.

ოცი წლის ასაკში ის შეხვდა სოკრატეს. მას შენდეგ მან დაწვა თავისი ტრაგედიები და ჩაეფლო ფილოსოფიაში. სოკრატე ასწავლიდა თავის მოქალაქეებს სათნოებას: თითოეული ადამიანის მიმართ ჩატარებული რეფორმებით მას სურდა, რომ ქალაქისთვის მოეტანა ბედნიერება. იგივე მიზანი ჰქონდა პლატონსაც, ბიძაშვილის კრიტიასა და ბიძის შარმიდის მსგავსად, მას სურდა ჩართულიყო პოლიტიკაში, მაგრამ ტრანტელების სიჭარბემ, მას თავზარი დასცა. როდესაც ტრესაბულმა ხელახლა აღადგინა კონსტიტუციური დემოკრატია, ის ხელახლა თვლიდა თავს ვალდებულად ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში. სოკრა-

ტეს სიკვდილით დასჯის შემდეგ 399 წელს მან კვლავ უარი განაცხადა პოლიტიკაზე. ის ამაოდ ელოდა პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას და ბოლოს მიხვდა რომ პოლოტიკა უკურნებელი სენისაგან ვერ განიკურნებოდა და უარი განაცხადა აეღო თავისი წილი პასუხისმგებლობა, მაგრამ ქალაქის განვითარება მისი მრზუნველობის საგნად რჩებოდა და ისე, როგორც არასოდეს მან დაიწყო მომზადება თავისი ნაწარმოებებით მთელი რიგი საქმეების მოგვარება, სადაც ფილოსოფია წამყვანი ძალა გახდა კაცობრიობის განვითარებისთვის, რომელიც ბოლოს მოუღებდა განუკითხაობას.

პლატონი თავისი ავადმყოფობის გამო სოკრატესთან სიცოცხლის ბოლო წუთებში არ იმყოფებოდა, იმ დროს როდესაც მან დალია საწამლავი. თავისი მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მეგარეში ეკლესიდესა და ტერპისიონის მახლობლად, როგორც სოკრატეს მოწაფე. შემდეგ დაბრუნდა ათენში და მსახურობდა არმიაში, როგორც თავისი ძმები. 395-394 წლებში მონაწილეობა მიიღო კორინტეს ბრძოლაში. არასდროს ულაპარაკია თავის სამხედრო სამსახურზე, მაგრამ ყოველთვის აქებდა სამხედრო ვარჯიშებს და თვლიდა, რომ ძალას სჭირდება განვითარება.

სწავლის სურვილმა უბიძგა მას მოგზაურობისკენ. 390 წელს გაემგზავრა ეგვიპტეში და თან წაიღო ზეთის მარაგი, რომ მოგზაურობის ხარჯები დაეფარა. მან იქ ნახა იქაური ხელოვნება და ადათწესები, რომელიც წლების განმავლობაში უცვლელი იყო. ეს ტრადიციული ანტიკური და ცივილური ფორმები გვაფიქრებინებს იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ ბედნიერები რომლებიც დაკავშირებულები არიან თავიანთ ურყევ ცხოვრებასთან, როგორც მუსიკას და პოეზიას არ

ჭირდება ახალი ქმნილება, საჭიროა მხოლოდ იპოვო საუკეთესო წყობილება და შეგვიძლია ხალხს უბიძგო მის დაცვაში.

ეგვიპტიდან ის სირენში დაბრუნდა, სადაც ჩაება თეოდორეს სახელობის მათემატიკის სკოლაში, რომელიც გახდა ერთ-ერთი ტეეტეს წამყვანი ფიგურა. სირენიდან გადავიდა იტალიაში, სადაც დამეგობრდა პითაგორელებთან, პილოლაოსთან, არშიტასთან და ტიმესთან. სარწმუნო არ არის, რომ პლატონმა შეასწავლა მათ რწმენა სულის მოგზაურობასთან დაკავშირებით, მაგრამ იდეა სულის მარადიულობასთან დაკავშირებით მათთვის მისაღები იყო. ეს იდეა უნდა გამხდარიყო მისი ფილოსოფიის ქვაკუთხედი. ფილოსოფიას შეუძლია გონებრივი პრობლემების გადაწყვეტა და ასევე პლატონმა გაულრმავა მათ ცოდნა არითმეტიკაში, ასტრონომიასა და მუსიკაში.

იტალიიდან ის სიცილიაში გადავიდა. იცხოვრა კატანიაში და ეტნაში. სირაკუსში ის დაესწრო პოპულარულ ფარსს და იყიდა სოფრონის წიგნი, რომელიც იყო პროზაული ფარსის ავტორი. ის იქნა მიღებული დენისის სასახლეში, როგორც უცხოელი. პლატონმა თავისი ფილოსოფიური გამოსვლებით დაამარცხა დიონი, ტირანის ნახევარ-ძმა. ის დიდხანს არ გაჩერებულა დენისთან. იგი გაგზავნილ იქნა ეჟინში, როგორც ათენის მტერი და გადასცეს ლასედომონიელებს. საბედნიეროდ, ეჟინში გამოჩდა ერთი სირენელი კაცი, სახელად ანიკერისი, რომელმაც იცნო პლატონი და 20 მინად გამოისყიდა. სავარაუდოთ 388 წელს ორმოცი წლის პლატონი დაბრუნდა ათენში.

ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ ანტალკიდას მშვიდობიანი ჩარევით ომი დამთავრდა მომავალ წელს. ამ მომენტისთვის ერუპიდე გარდაცვლილი იყო და მას არ ყავდა ღირსეული

გამგრძელებელი.

არისტოფანეს უნდა ეთამაშა თავისი ბოლო დრამა და მხოლოდ მენანდრეს მეშვეობით, კომიკური თეატრი ძლივსღა არსებობდა, მაგრამ თუ დიდი პოეტები უშვებდნენ შეცდომებს, ლისიას ნყალობით პროზა აღწევდა წარმატებას. ლისიამ დაარსა რიტორიკის სკოლა, წერდა აპოლოგიას, მათ შორის ერთი, შექმნა სოკრატესათვის და ისოკრატესათვისაც. სოკრატეს ორი მოსწავლე ეშინი და ანტისტენი იცავდნენ თავის მასწავლებელს სასამართლოს წინაშე, მართავდნენ სკოლას და აქვეყნებდნენ საზოგადოებისთვის ნანარმოებებს. პლატონიც აგრეთვე ასწავლიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ესაუბრა ყველასთან, როგორც აკეთებდა მისი მასწავლებელი, მან პითაგორელების საზოგადოების მსგავსად დაარსა სკოლა. იყიდა მინის პატარა ნაკვეთი აკადემოს გიმნაზიის მეზობლად, კოლონთან ახლოს სოფოკლეს მშობლიურ სოფელში. პლატონის სკოლას დაერქვა აკადემია. მისი მოწაფეები აწყობდნენ მეგობრულ შეხვედრებს, რომლის ხელმძღვანელი ახალგაზრდებს შორის იყო არჩეული. სკოლის წევრები საწევროს აუცილებლად იხდიდნენ.

ჩვენ არაფერი არ ვიცით პლატონის ცხოვრების 20 წლიანი პერიოდის შესახებ სიცილიაში გამოძახებიდან ათენში დაბრუნებამდე.

ვერანაირ მინიშნებას ვერ იპოვით იმ პერიოდის შესახებ ვერც მის ნაწარმოებშიც: ათენის საზღვაო ფლოტის რეკონსტრუქცია, თებესა და ეპამინონდას წარმატება, სპარტის დაცემა. მოხუცი დენისი გარდაიცვალა 368 წელს. მეფის გარდაცვალების შემდეგ დიონი თვლიდა, რომ იყო მეფის შთამომავლის მეურვე. ახალგაზრდა დენისმა დახმარებისთვის მოუხმო პლატონს. ის ოცნებობდა, რომ ტირანული მართველობა გარდაქმნილიყო საკონსტიტუციო სამეფოდ, სადაც იქნებო-

და კანონისა და თავისუფლების უზენაესობა. მისმა შემოთავაზებამ პლატონი გააკვირვა, მაგრამ სურვილი აქტიურ პოლიტიკაში ჩართვისა იმდენად დიდი იყო, რომ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში და დაენერგა თავისი სისტემა. 366 წელს პლატონი გადავიდა პოლიტიკაში და თავისი სკოლის დირექტორად ედოქსე დატოვა. პლატონი დაუმეგობრდა მათემატიკოს-ფილოსოფოს, სახელად არშიტას, რომელიც ტარანტოს მმართველი იყო, მაგრამ როცა ის სირაკუზაში ჩავიდა, სიტუაცია შეცვლილი დახვდა. პლატონი დიდებულად მიიღო დენისმა, მაგრამ მას ცუდათ უყურებდნენ ტირანის მომხრეები, განსაკუთრებით პილისტრო, რომელიც სირაკუზაში მოხუცი დენის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა. ამას გარდა დენისმა შეამჩნია, რომ დიონს სურდა ის მისი მეურვეობის ქვეშ ყოფილიყო და გააძევა სირაკუზიდან. მაშინ, როდესაც დიონი წავიდა საცხოვრებლად ათენში, პლატონი ზამთარში ცოდნის მისაღებად დაიტოვა. 365 წლის გაზაფხულზე, როდესაც ზღვაში გახდა შესაძლებელი გემების გადაადგილება, დენისმა პლატონს ნება დართო გამგზავრებულიყო ათენში იმ პირობით, რომ დაბრუნდებოდა დიონთან ერთად. ისინი მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს, ვინაიდან პლატონმა დენისა და ტარანტოს მმართველს არშიატს შორის ალიანსი დაამყარა.

ათენში დაბრუნებისას პლატონმა ნახა დიონი, რომელიც ფუფუნებაში ცხოვრობდა. პლატონმა თავისი მოღვაწეობა გააგრძელა. ამასობაში დენისმა ფილოსოფიის გემო გაიგო. მან თავის სასახლეში მოიხმო სოკრატეს ორი მოსწავლე ესშინე და არისტიპე დე სირენ და სურდა ხელახლა შეხვედროდა პლატონს. 361 წლის გაზაფხულზე საომარი ხომალდი პირეს მოადგა. დესპანმა პლატონს დენისისა და არშიტას წერილები გადასცა.

არშიტა დენის სასახლეში დაბრუნების შემთხვევაში უზრუნველყოფდა პლატონის პირად უსაფრთხოებას. დენისმა კი შეუთვალა დიონს, რომ ის უნდა დაბრუნებულიყო მომავალ წელს. პლატონი გაემგზავრა სასახლეში თავის ძმისშვილთან სპესიპესთან ერთად. პლატონს ისევ უსიამოვნება ელოდა. მან ვერ შეძლო დენისის დარწმუნება ცხოვრების შეცვლის აუცილებლობაში. დენისმა ემბარგო დაადო დიონის ქონებას. პლატონს სურდა დაბრუნება, მაგრამ ტირანმა არ გაუშვა. აუცილებელი გახდა არშიტას ჩარევა, რის შემდეგაც 360 წლის გაზაფხულზე პლატონმა დატოვა სირაკუსი . პლატონი ოლიმპიადაზე შეხვდა დიონს. ვიცით, რომ ამ უკანასკნელმა შეიტყო დენისის მიერ მისი ცოლის გატაცების ამბავი, გაილაშქრა მის წინააღმდეგ 357 წელს, დაიპყრო სირაკუზა და მოკლულ იქნა 353 წელს. პლატონმა მას შემდეგ ხუთი წელი იცოცხლა. პლატონი გარდაიცვალა 347-346 წლებში ქორწილის დროს. მისმა ძმიშვილმა სპესიპემ დაიკავა მისი ადგილი. პლატონის მოწაფეებს შორის ყველაზე საუკეთესოები ტოვებენ სკოლას. არისტონი და ქსენოკრატე დაბრუნდნენ ჰერმია ატარესთან . ჰერაკლიდე ჯერ დარჩა ათენში და შედეგ დააარსა სკოლა თავის სამშობლოში ერაკლეში. პლატონის ძმიშვილის სპესიპეს სიკვდილის შემდეგ აკადემიას სათავეში ქსენოკრატე ჩაუდგა. აკადემიამ იარსება ახალი წელთაღრიცხვით 529 წლამდე, სანამ იუსტიციანე დახურავდა.

წინასიტყვაობა სოკრატეს აპოლოგიაზე

ანიტოსმა, მელეტოსმა და ლიკონმა სამოცდაათი წლის ასაკში სოკრატეს ბრალი წაუყენეს, რომ ვითომც ის არ ცნობდა სახელმწიფო ღმერთებს, ქადაგებდა ახალ ღვთაებას და ახალგაზრდები შეცდომაში შეყავდა. სასჯელი მის წინააღმდეგ სიკვდილით დასჯა იყო.

მთავარი ბრალმდებელი-მელეტოსი ცუდი პოეტი იყო,ის წააქეზა ანიტოსმა. მას უნდა შეეტანა საჩივარი სასამართლოს კანცელარიაში პირველ მოსამართლესთან. ანიტოსმა და ლიკოლმა მას ხელი მოუწერეს. ანიტონი, მდიდარი ტყავებით მოვაჭრემ, 409 წელს სარდლად ყოფნის დროს ტრასიბულებთან ერთად ბრძოლაში დაამარცხა ტრანტელები. ის აგრეთვე იყო სახალხო პარტიის ერთ-ერთი ცნობილი გავლენიანი ლიდერი და ორატორი. თუ დავუჯერებთ ქსენოფონის (აპოლოგიას) ის იყო გაბრაზებული სოკრატეზე, რადგან სოკრატემ ის გაკიცხა იმის გამო, რომ მან შვილი ტყავების მოვაჭრედ გაზარდა. ანიტონს შესაძლოა უფრო სერიოზული პოლიტიკური მიზეზი ჰქონდა. სოკრატე ხშირად აკრიტიკებდა მას და დემოკრატიული პარტიის ლიდერებს. რაც შეეხება ლიკონს, მასზე თითქმის არაფერი ვიცით. კომიკოსი პოეტი ეპოლისი სოკრატეს საყვედურობდა, რომ ის იყო წარმოშობით უცხოელი. კრატინოსი მინიშნებებს აკეთებს მის სილარიბესა და უზნეო მორალზე. ყოველ შემთხვევაში ჩანს, რომ ის არ წარმოადგენდა დიდ პიროვნებას. ბრალმდებელთა შორის მელეტოსი წარმოადგენდა პოეტებს, ანიტოსი ხელოვანებს და პოლიტიკოსებს, ლიკონი კი ორატორებს. სოკრატემ კი მათი ცოდნა გამოცდის ნინაშე დააყენა, შოკი მოჰგვარა მათ თავმოყვარეობას რის გამოც მათი გულისწყრომა დაიმსახურა.

სოკრატე სიძულვილის სამიზნე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ სოკრატე ელოდა სიკვდილით დასჯას, სასამართლოს მსვლელობისას ის ჩვეულებისამებრ აგრძელებდა შეხვედრებს თავის მონაფეებთან, საუბრობდა მათთან უცხო თემებზე. მის მეგობარს ჰერმოჟენს(სოკრატეს აპოლოგია ქსენოფონის მიხედვით 3 და 4) უკვირდა, რომ ის არც კი ფიქრობდა თავის დაცვას:

"არ გეჩვენება, უპასუხა მან, მთელი ცხოვრება ამით ვიყავი დაკავებული? ---და როგორ?--- მთელი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს ჩამიდენია უსამართლობა''. ჰერმოჟენი უმტკიცებდა მას, რომ ათენის სასამართლოებში უდანაშაულო ადამიანებს ასამართლებენ, სოკრატემ უპასუხა, რომ ორჯერ შეეცადა დაეცვა თავი, მაგრამ ღვთიურმა ნიშანმა გადააფიქრებინა. დიოჟენ საერსის მიხედვით, ლისიასმა, რომელიც სოკრატეს უეჭველად გაამართლებდა, შესთავაზა სასამართლოში უფლებების დაცვა. სოკრატემ მას უარი უთხრა და უპასუხა: "შენი გამოსვლა ძალიან კარგია, მაგრამ მე არ მაწყობს." ეს გამოსვლა იქნებოდა რიტორიკული წესის მიხედვით, და მიზნად დაისახავდა სიბრალულის გამოწვევას მოსამართლეებში. ეს სოკრატეს არ აწყობდა. მან თვითონ დაიცვა თავი გამოსვლაში, რომელიც არ დაწერილა და სავარაუდოდ წინასწარ იყო მოფიქრებული. სოკრატემ აჩვენა მჭერმეტყველების სიმამაცე და დიდი ზეგავლენა მოახდინა თავის მეგობრებსა და მოსამართლეებზე.

<< ქსენოფონი ამბობს, რომ რაც დაინერა სოკრატეს პროცესთან დაკავშირებით, ადასტურებს მის მჭერმეტყველებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სოკრატემ ნამდვილად ილაპარაკა. მსჯავრდებულს სამოცი ხმის უმრავლესობით ხუთასი ან ხუთას ერთი მოსამართლიდან♦, მოთხოვეს გამოეტანა თავისი განაჩენი. სოკრატემ უარი გა-

ნაცხადა თავის განაჩენის გამოტანაზე, რადგან არ ცნობდა თავს დამნაშავედ -თქვა ქსენოფონმა. პლატონის მიხედვით, სოკრატემ აგრეთვე მოითხოვა **მისთვის მიეცათ საჭმელი პრიტანეუმში♦**. ეს მოთხოვნა მოსამართლეებისთვის, რომლებმაც ხმის უმრავლესობით სიკვდილი მიუსაჯეს, გამომწვევი აღმოჩდა. იგი გადაყვანილი იქნა ციხეში და კიდევ ერთი თვე იქნებოდა იქ სანამ დელოსში არ დაბრუნდებოდა გაგზავნილი. იმ დროს არ იყო ნებადართული ადამიანის სიკვდილით დასჯა დეპუტატის გამგზავრებიდან მის დაბრუნებამდე. დეპუტატი ყოველ წელიწადს მიდიოდა წმინდა კუნძულზე შესაწირად. სოკრატეს შეეძლო ციხიდან გაქცევა, მაგრამ უარი თქვა. ის აგრძელებდა შეხვედრას თავის მოწაფეებთან ციხეში სანამ დეპუტატი არ დაბრუნდებოდა კუნძულიდან. შემდეგ მან დალია საწამლავი და გარდაიცვალა , ღირსეულად შეწირა თავისი დიადი კარიერა სათნოებასა და მეცნიერებას.

სოკრატეს სიკვდილით დასჯა აუცილებლად გამოიწვევდა დიდ კამათს. სოკრატეს წინააღმდეგ მყოფი მოსაამრთლეები ცუდათ იყვნენ განწყობილნი სოფისტების მიმართაც, რომლებსაც აიგივებდნენ სოკრატესთან. დემოკრატები ვერ პატიობდნენ სოკრატეს მათი სუსტი რეჟიმის გაკრიტიკებას. სოკტარეს მხარს უჭერდნენ ერთგული მოწაფეები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მას ძალიან კარგად იცდნონბდა, ესენი იყვნენ ანტისტენი, ესშინე , ქსენოფონი და პლატონი. მოწაფეებმა არ დააყოვნეს თავიანთი მასწავლებლის დაცვა და პლატონმა დაწერა სოკრატეს აპოლოგია, რათა წარმოედგინა მისი ნამდვილი სახე.

– განსხვავება პლატონის აპოლოგიასა და მოგვიანებით დაწერილ ქსენოფონის აპოლოგიას შორის საკმარისად ნათელია. --- პლატონმა ქსენოფონისაგან განსხვავებით არ გამოიგონა სოკ-

რატეს ის სიტყვები, რომლებიც გამოიყენა მოსამართლეების წინაშე, თუმცა მან ხელახლა შექმნა მთავარი შინაარსი და უარყო დაახლოებით ისე, როგორც სოკტარემ ბრალმდებლების პრეტენზიები. საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც სმენია სოკრატეზე, პლატონს ბრალს სდებდა ტყუილში და ეჭვი შეჰქონდა მისი ნაწარმოების სიზუზტეზე, თუმცა პლატონს უფრო უკეთესად შეეძლო დაეცვა თავისი მასწავლებელი და ეჩვენებინა სოკრატეს ნამდვილი სახე მკითხველისათვის. ვიცით, რომ მან შექმნა ლისიას, პროტაგონას, პროდიგოს და სხვების პაროდიები და იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო წარმოედგინა განსხვავებული ტალანტები. აგრეთვე შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ პლატონმა ხელახლა გააცოცხლა თავისი მასწავლებლის დიდებული სახე და მკვეთრად წარმოგვიდგინა მისი დიდებული ხასიათი.

აპოლოგია იყოფა სამ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. პირველ ნაწილში სოკრატე განიხილავს ბრალმდებლების განაჩენებს; მეორე ნაწილში მას გამოაქვს თავისი განაჩენი; მესამე ნაწილში კი აჩვენებს მოსამართლეებს ,რომ ის გაასამართლეს შეცდომით, რომ ისინი შეცდნენ. სოკრატე საუბრობს იმათთან, ვინც ის უდანაშაულოდ აღიარეს.

ნაწილი პირველი.---- პირველი ნაწილის დასაწყისში სოკრატეში დაინახავთ თავმდაბლობას. მისთვის მთლიანად უცხო იყო სასამართლოს ენა, ის უბრალო ენით ლაპარაკობდა სიმართლეს. ის მხოლოდ სიმართლით შემოიფარგლებოდა. შემდეგ სოკრატე მომჩივნეებს ორ ჯგუფად ყოფდა. სოკრატე თავდაპირველად პასუხობდა იმ ცილისმწამებლებს, რომლებიც დიდი ხანია მის წინააღმდეგ აგორებდნენ ამ სიცრუეებს.შემდეგ კი პასუხობდა თავის წინააღმდეგ მომჩივანთა წაყენებულ

საჩივრებს.

წლების მანძილზე სოკრატეს ბრალს სდებდნენ, რომ ის ცდილობდა გამოეკვლია ბუნების საიდუმლოებები და შემდეგ ასწავლიდა სხვებს. კომიკოსი პოეტი (არისტოფანი) მას წარმოგვიდგენს სცენაზე: " დაფრინავდა რა ცაში და იკვლევდა დედამიწის საიდუმლოებებს" სოკრატე აპროტესტებს, რომ არასოდეს არაფერი გაუგია ბუნების მეცნიერებაზე, მას არასოდეს ყოლია მოწაფეები სოფისტების მსგავსად. მას ადანაშაულებდნენ თითქოს ის ძალიან ძვირს ახდევინებდა გაკვეთილებში, თუმცა მას არასოდეს არ გადაუხდევინებია არავისთვის მის საუბრებს რომ დასწრებოდნენ. საიდან მოდის ეს ტყუილი ჭორები სოკრატეს სახელზე? ალბათ დელფის წინასწარმეტყველების მიხედვით ის ყველაზე ბრძენი იყო. სოკრატეს სურდა დარწმუნებულიყო ამ წინასწარმეტყველების სიმართლეში. მან კითხვებით მიმართა ყველაზე ბრძენ ადამიანებს: თანამდებობის პირებს, პოეტებს და ხელოვან ხალხს. სოკრატემ მათ დაუმტკიცა, რომ ისინი, ვინც თავს თვლიდნენ ჭკვიანებად არ იყვნენ ჭკვიანები, რომ მათზე მაღლა იდგა, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ ყველაზე ჭკვიანი იყო. ახალგაზრდები, რომლებიც სოკრატეს შეხვედრებს ესწრებოდნენ მას ბაძავდნენ და ყველა იმ ადამიანის გაუნათლებლობა გამოაშკარავდა არა მხოლოდ მის მიერ, არამედ ახალგაზრდების მიერ და მიუხედავად ამისა, სოკრატეს ბრალს სდებდნენ ახალგაზრდების გარყვნაში.

ეს ცილისწამება გამოგონებული იყო მელეტოსის, ანიტონის და ლიკონის მიერ, რომლებმაც მის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანეს. სოკრატეს პირველ გამოსვლაში ის შეეცდება რომ უარყოს ეს ბრალდებები. თავდაპირველად მან გაამასხარავა მელეტოსი და აჩვენა მოსამართლეებს, რომ ამ დიდ სიმართლის დამცველს არასოდეს მიულია

მონაწილეობა ახალგაზრდების სწავლა-განათლებასა და აღზრდაში. სოკრატემ დასვა შეკითხვები მოხერხებულად და უთხრა მონინააღმდეგეს, რომ ყველას შესწევს უნარი ახალგაზრდობის განვითარების და მხოლოდ სოკრატე რყვნის მათ. ,,მაგრამ, როგორ შემეძლო ამის გაკეთება? ეკითხება თავის თავს. ხომ აშკარაა, რომ ცუდი მთესველი მოიმკის ცუდს? როგორც ყველა ჭკვიანი ადამიანი მე მიზანმიმართულად ხომ არ გავრყვნიდი ახალგაზრდობას. მაშ, მე მხოლოდ საყვედურს ვიმსახურებ და არა სასჯელს.''

მელეტოსი თავის მიმართვაში აღარ იყო თანმიმდევრობითი, როდესაც დაადანაშაულა სოკრატე, რომ ის უარყოფს ღმერთების არსებობას. მეორეს მხრივ ის მიიჩნევს, რომ სოკრატეს არ სჯერა ღმერთების და სხვა მხრივ ის ამტკიცებს, რომ სოკრატეს სწამს ეშმაკების, რომლებიც არიან ღმერთის შვილები. სოკრატეს სწამს ღმერთების და არ სწამს ღმერთების, მაგრამ რატომ ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც მას საფრთხეში ჩააგდებს? როდესაც შენ თავს დანიშნავ რაიმე თანამდებობაზე, ან დაგნიშნავენ, არ უნდა გაექცე პასუხისმგებლობას, უნდა დაემორჩილო მას. თუ ის მოქმედებდა ღმერთის დელფის ბრძანებით, რათა გაეუმჯობესებინა თავისი მოქალაქეების მდგომარეობა, სანამ ის იქნებოდა ცოცხალი, ის ბოლომდე მიყვებოდა ამ საქმეს, რომ მათში გაელვიძა სათნოებას. თუ მას ნამდვილად სურდა ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, რატომ არ ავიდა ტრიბუნაზე და არ მისცა რჩევები რესპუბლიკას? ეს იყო ის ღვთიური ხმა, რომელიც მისთვის ძალიან ახლობელი იყო და მას ყოველთვის მოსალოდნელი საფრთხისგან იცავდა, რადგან იგი იმდენად კანონმორჩილი იყო, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა. არჟინიების გენერლების პროცესზე სოკრატე იყო ასამბლეაში ერთადერთი, ვინც გა-

ბედა და არ დაემორჩილა ტრანტელების ტირანის ბრძანებას, დაეპატიმრებინათ უდანაშაულო ლეონი და სალამინი, რომლებიც სიკვდილით უნდა დაესაჯათ. სოკრატეს არაფერი გაუკეთებია კანონის საწინააღმდეგო ისე, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სამოქალაქო ცხოვრებაში. თუ მან გარყვნა ახალგაზრდები, თვითონ ან მათი მშობლები რატომ არ სდებენ მას ბრალს, მაგრამ არცერთი არ ადანაშაულებს მას.

სოკრატემ თავის დასაცავად თქვა რისი თქმაც უნდოდა და ის აღარ გაასაჩივრებს, როგორც სხვა ბრალდებულები, რომლებიც არიან ულირსნი მის წინაშე და მოსამართლეების წინაშე, რომლებიც არ უნდა შეიბრალონ და მხოლოდ სამართალს დაემორჩილონ. მხოლოდ მოსამართლეებს და ღმერთს შეუძლიათ დაგაწყვიტონ რა არის უფრო უკეთესი მისთვის და მათთვის.

ნაწილი მეორე – თავის დაცვის შემდეგ მოსამართლეებმა კენჭი უყარეს და სამოცი ხმის უმრავლესობით სოკრატე დამნაშავედ სცნეს. სასამართლო პროცესების დროს, მათ შორის სოკრატეს პროცესზეც, სადაც კანონი არ ადგენდა განაჩენს, ბრალმდებელი სთავაზობდა განაჩენს და თუ ბრალდებული გამოცხადდებოდა დამნაშავედ, მას შეეძლო შეეთავაზებინა სხვა განაჩენი და აქედან მოსამრთლე ირჩევდა ან ერთს- ან მეორეს, რომელიც გასაჩივრებას აღარ დაექვემდებარებოდა. სოკრატეს მოწინააღმდეგეები ითხოვდნენ მის სიკვდილით დასჯას. მას მოსთხოვეს თავისი განაჩენის გამოტანა. ის მიიჩნევდა, რომ მისთვის ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანის მაგივრად მისი ქმედებები იმსახურებდა დაჯილდოებას და ითხოვდა **მისთვის მიეცათ საკვები პრიტანეუმში.** ეს სულაც არ იყო მამაცური საქციელი- როგორც ამას მიიჩნევდნენ მოსამართლეების დიდი ნაწილი- მისი შემოთავაზება იყო მოულოდნელი; მას არასოდეს არავისთვის ცუდი არ გაუკეთებია და არც თავისთვის უნდოდა ცუდის გაკეთება. მას არც გაქცევა უნდოდა და არც იმ ჯარიმის გადახდა, რომელსაც ვერ გადაიხდიდა. მიუხედავად თავისი მეგობრების ზეწოლისა, რომლებიც იხდიდნენ ოცდაათ მინს,სოკრატემ უარი განაცხადა.

К63.385

ნაწილი მესამე.------- მას მიუსაჯეს სიკვდილი უმრავლესობის ხმების გადაწყვეტილებით, მაშინ როდესაც მოსამართლეებს უნდა აღესრულებინათ ფორმალური მხარე, რომელიც ითვალისწინებდა სოკრატეს ციხეში გადაყვანას, მან წყნარად მიიღო იმ მოსამართლეების განაჩენი, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ სამოცდაათი წლის მოხუცის სიკვდილით დასჯას. თავდაპირველად მან მიმართა მათ, ვინც მას ბრალი დასდო, რომ ის უსამართლოდ იქნა გასამართლებული, რის გამოც არასოდეს გაექცეოდნენ ახალგაზრდობის კრიტიკას. შემდეგ მიმართა მათ, ვინც მას მხარი დაუჭირა და დაარწმუნა ისინი თავის ბედისწერაში. სიკვდილი არ არის ცუდი ჩემთვის- ეუბნებოდა მათ სოკრატე. წინასწარმეტყველურ ხმას, რომელმაც იცოდა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენებები, მისთვის ხელი არ შეუშლია სასამართლო პროცესის განმავლობაში.

მაშ რატომ ეშინოდა სიკვდილის? თუ ეს არის ძილი, ბედნიერება. თუ ეს არის გზა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასასვლელად, სადაც უნდა შეხვდეთ გასული საუკუნის გმირებს. რა სიამოვნება იქნება მათთან ერთად ყოფნა! სოკრატე საერთოდ არ იყო ბოროტად განწყობილი მათ მიმართ, ვინც მას ბრალი დასდო. სანამ მისი სული დატოვებდა დედამიწას, ის ურჩევდა ათენის მცხოვრებლებს, რომ მოქცეოდნენ მის შვილებს ისე, როგორც თვითონ ექცეოდა თავის მოქალა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეებს და დაესაჯათ ისინი თუ სათნოებას გაცვლიდნენ სიმდიდრეზე. <<და ეხლა მოვიდა დრო ჩემი წასვლის და დედამიწაზე თქვენი დარჩენის და ღმერთის გარდა არავინ იცის თუ რა არის საუკეთესო.>>

როგორ, ასეთი გულწრფელი ახსნა-განმარტების შემდეგ, რატომ სცნეს სოკრატე დამნაშავედ და დასაჯეს სიკვდილით? არა იმის გამო, რომ არასაკმარისად კარგად დაიცვა თავი, არამედ დასცინოდა მელეტოსს, რომ აერიდებინა თავი სიღრმეული ახსნა-განმარტებისაგან, ღმერთებთან მიმართებაში და მისი მიდგომა ახალგაზრდების განათლებასთან დაკავშირებით.

მას სხვებზე მეტად სწამდა ღმერთი!

სოკრატე, ისე როგორც წერდა მის შესახებ პლატონი ნაწარმოებში"რესპუბლიკა", გმობდა ბრძოლებს, ცოლ-ქმრულ ღალატს, კრიმინალებს, მატყუარებს. მაგრამ ეს ფაქტი სოკრატეს სრულიად არ უშლიდა ხელს მათთვის პატივი ეცა სახალხოდ, რადგან ის იყო რელიგიური და მიმტევებელი. შეცდომა იქნებოდა მასში დაგვენახა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი. ის რელიგიის მიმდევარი იყო, როგორც მისი მოწაფეები ქსენოფონი და პლატონი. ის არ იმსახურებდა დასჯას. სოკრატეს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაენერგა ახალი რელიგია. ის, რაშიც მას ბრალს სდებდნენ, იყო ღვთიური ნიშანი, რომელიც სოკრატეს აფრთხილებდა, რომ მას არ დაეშვა შეცდომები. მაგრამ ეს ღვთიური ნიშანი არ იყო რაიმე განსაკუთრებული ბერძნულ რელიგიაში, მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს სჯეროდა, ღმერთები მას აფრთხილებდნენ, წინასწარმეტყველებით, ღვთიური ნიშნებით და სხვადასხვა საშუალებებით. მოსამართლეებში შოკი გამოიწვია იმან, რომ სოკრატე თავს ღმერთების რჩეულად მიიჩნევდა. რაც შეეხება ბრალდებას ახალგაზრდების გარყვნასთან დაკავშირებით სრულიად უსაფუძვლო იყო. მართალია, რომ ზოგ მშობელს შეეძლო ეჩივლათ, რომ სოკრატე ჩადგა მამებსა და შვილებს შორის, მაგრამ ეს არ იყო ის შემთხვევა, როდესაც მშობლები მიაბარებდნენ შვილებს პედაგოგებსა და აღმზრდელებს. მხოლოდ იმ მშობლებს , რომელთა შვილებიც ესწრებოდნენ სოკრატეს შეხვედრებს, შეეძლოთ ეჩივლათ მისთვის, მაგრამ არცერთმა მშობელმა არ იჩივლა.

მიუხედავად ამისა ის სცნეს დამნაშავედ. ნეტავ რა იყო ნამდვილი მიზეზი მისი დადანაშაულების? სოკრატე, რომელიც ამას ელოდა გვითხრა ჩვენ: „ეს ის სიძულვილი იყო, რომელმაც გამოააშკარავა დიდი პიროვნებების უცოდინარობა ახალგაზრდების თანდასწრებით. ახალგაზრდებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ამ პიროვნებების გამოაშკარავება, მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც. სანამ არისტოფანე შეუტევდა სოფისტებს, ის საუბრობდა და კამათობდა მათთან. სოფისტები იყვნენ ძველი ტრადიციების დამანგრეველნი, მათ მიიჩნევდნენ ათეისტებად და სწორედ ამიტომ ბევრი ბაძავდა სოკრატეს. სარწმუნოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ აპოლოგიაში იგი დადანაშაულებული იქნა არა მხოლოდ მორალური მიზეზებით, არამედ პოლიტიკური მიზეზებითაც.

მას ქონდა ურთიერთობა მდიდარ ახალგაზრდებთან, რომლებიც იზიარებდნენ სოკრატეს იდეალებს და ეჭვქვეშ აყენებდნენ სახალხო პარტიის ლიდერებს, თუმცა სოკრატე არ მალავდა უპატივცემულობას ათენის დემოკრატიის მიმართ, რომელიც გამოწვეული იყო უუნარო და მატყუარა რეჟიმის გამო. ეს შენიშვნა არ იქნა მოყვანილი კრიტიასა და ალსიბიადეს აპოლოგიაში, მაგრამ შეგვიძლია დავიჯეროთ ის ფაქტი, რომ მისი ურთიერთობა იმ ორ ავბედით ადამიანთან, მოსამართლეების გონებაში, ადასტურებს იმ ბრალდებას , რომ ის ახალ-

გაზრდებს აფუძებდა. ამ ფაქტის ციტირება მოცემულია 33 მონაკვეთის ა და ბ პუნქტებში, სადაც სოკრატე ამკტიცებს, რომ მას არასოდეს დაურღვევია კანონი. სოკრატეს თქმით, მისი აზრების ავად ან კარგად გაგების შემთხვევაში ის არ აგებს პასუხს მათ საქციელზე. პოლიკრატე დაჟინებით მოითხოვდა ამ საკითხის განხილვას თავის ბრალდებაში სოკრატეს წინააღმდეგ, მაგრამ სავარაუდოდ ნაფიცმსაჯულებთან ითქვა, ის უარყოფდა, რომ კრიტიასი და ალსიბიადე ესწრებოდნენ სოკრატეს გაკვეთილებს. მიუხედავად ამ სიძულვილისა და გაფრთხილებებისა, სოკრატე მცირე უმრავლესობით დამნაშავედ გამოაცხადეს. სოკრატეს შეეძლო მოეყვანა თავისი ბავშვები, რომ მოსამართლეებში გამოეწვია სიბრალული. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას გაათავისუფლებდნენ, რაც შეგნებულად არ გააკეთა. სოკრატე ნებაყოფლობით იქნა ბრალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მჭერმეტყველების სიამაყე მოსამართლეების გონებაში დაიკარგა. მისი მოთხოვნა იყო, რომ **მისთვის მიეტანათ საჭმელი პრიტანეტში**. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა თავდაპირველად უმეტესობას აბსურდულად მოეჩვენა, მოწინააღმდეგეების რიგებში ზოგიერთ მათგანში სიმპატიაც კი გამოიწვია.

ვინც კი ესწრებოდა პროცესს განცვიფრებული დარჩნენ სოკრატეს მჭერმეტყველებით მის აპოლოგიაში. ამ ყველაფერს წარმოგვიდგენს ქსენოფონი, რომელიც არ ესწრებოდა პროცესს, მაგრამ სოკრატეს ერთგული მეგობარი ერმოჟენი ესწრებოდა მის ყველა დებატებს. ერმოჟენის მიხედვით პლატონის მიერ აპოლოგიიის გამოქვეყნების შემდეგ, რამდენიმე წლის მერე ქსენოფონმაც სოკრატეს აპოლოგია გამოაქვეყნა. ეს ორი ავტორი თანხმდება მთავარ საკითხზე და გამოყოფენ პროცესის სამ ფაზას: ბრალდების უარყოფა, სასჯელის დანიშვნა და მოსამართლეების ბოლო სიტყვა და

სოკრატეს არგუმენტები იმ სამი წაყენებული ბრალდების მოხსნასთან დაკავშირებით, მაგრამ არის განსხვავევა დეტალებში. პლატონის აპოლოგიაში ღვთიური ხმა აჩერებს სოკრატეს და არასოდეს უბიძგებს მოქმედებისკენ, ხოლო ქსენოფონის აპოლოგიაში მას პირიქით, უბიძგებს მოქმედებისკენ. ქსენოფონის აპოლოგიაში მოსამართლეები ჩურჩულებენ, როდესაც სოკრატე ლაპარაკობს თავის ღვთიურ გაფრთხილებებზე და ყვირის ხელახლა, რათა წინასწარმეტყველების ციტირება გააკეთოს. სხვა განსხვავებები: სოკრატე ქსენოფონის მიხედვით კატეგორიულად უარყოფს თავისი განაჩენის გამოტანას, რადგან ის გამოცხადდებოდა დამნაშავედ და არ მოითხოვდა რომ **მისთვის მიეტანათ საჭმელი პრიტანეტში!**

სამაგიეროთ პლატონის აპოლოგიაში მისი მეგობრები განთავისუფლების სანაცვლოდ ოცდაათი მინის გადახდას სთავაზობდნენ. პლატონის აპოლოგიაში სოკრატემ ბოლო სიტყვაში ილაპარაკა სიკვდილზე და იმედებზე, სამოთხეზე და ძველ გმირებზე, როგორიც იყო პალამედი. ამ თემებზე არ ულაპარაკია ქსენოფონის აპოლოგიაში: ქსენოფონის მიხედვით სოკრატე თავს იმშვიდებს სიკვდილით და ადარებს პალამედის უსამართლო სიკვდილს. ამ ყველა საკითხთან მიმართებაში პლატონს უნდა დაუჯეროთ, რადგან ის იყო ამ პროცესის თვითმხილველი და დაწერა სოკრატეს გამოსვლები თავისი მასწავლებლის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ. თუ ის გამოიგონებდა იმას, რაც სოკრატეს არ უთქვამს, განსაკუთრებით **იმ მოთხოვნას, პრიტანეტში საჭმელის მიტანასთან დაკავშირებით**, ის აუცილებლად იქნებოდა ტყუილში მხილებული და შერცხვენილი იმ მოსამართლეებისა და დამსწრეების მიერ, რომლებსაც ზუსტად ახსოვდათ ის ახალი დებატები.

დანარჩენი ქსენოფონის აპოლოგიაში მოკ-

ლედ არის ასახული: ეს იყო იმ დებატების მოკლე შინაარსი, რომელიც გადმოსცა ჰერმოჟენმა და მის მიერ წარმოდგენილი სოკრატე ყოველთვის სწორად არ იყო გადმოცემული. როდესაც საქმე ეხება სოკრატეს მჭერმეტყველობას, ქსენოფონი გვეუბნება, რომ სოკრატე ცხოვრების მიმართ იყო გულგრილი, რადგან მას ეშინოდა სიბერის დარდის. მას ავიწყდებოდა, რომ სოკრატეს თავისი შესანიშნავი გონება-გამჭრიახობით შეეძლო კიდევ ათი წელი ეცოცხლა, რომ გაეგრძელებინა თავისი მისია, რომელზედაც ურყევად იყო დაკავშირებული. ქსენოფონი არ ცნობს სოკრატეს თავმდაბლობას, გულკეთილობას, მის მომაჯადოებელ უნარს, რომელმაც შეკრიბა ახალგაზრდები თავის გარშემო. სამაგიეროდ ეს თვისებები პლატონმა წარმოადგინა თავის აპოლოგიაში. ის მას ალაპარაკებს, როგორც ის ილაპარაკებდა მთავარ სახალხო შეკრებებზე, ან გიმნაზიებში, თავმდაბლობით, მაგრამ მართებულად. მის მეტყველებაში შეიცნობთ ორიგინალურ აზროვნებას, უმაღლეს ზნეობრივ თვისებებს, მქადაგებლურ უნარს, რომელმაც მის სიკვდილს ბეჭედი დაუსვა. თავისი ცხოვრების მანძილზე ის იყო ყველასათვის მაგალითის მიმცემი პიროვნება.

სოკრატეს აპოლოგია

ნაწილი პირველი

■ I-ჩემო ბრალმდებლებო, როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე, ბერძნებო, მე ამას უარვყოფ! ვუსმენდი რა მათ, სანამ მათი ლაპარაკი დამაჯერებელი იყო, სულ დამავიწყდა ვინ ვარ მე. ამასობაში შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ სიმართლე, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემში დიდი გაკვირვება იმ ტყუილმა გამოიწვია, რომ გირჩევდნენ თქვენ: ფრთხილად იყავით, ამ კაცის მჭერმეტყველების მომნუსხველმა ძალამ არ გაცდუნოთო. უტიფრობაც ამას ქვია: ნუთუ იმისი მაინც არ გრცხვენიათ, რომ მე სიტყვას ვიტყვი თუ არა წამსვე აშკარა გახდება თქვენთვის, რომ დიდი ვერაფერი მჭერმეტყველი გახლავართ, თუ რა თქმა უნდა,ისინი დიდ მჭერმეტყველად არ თვლიან იმას, ვინც სიმართლეს ამბობს. სიმართლის, თუ ეს არის ის, რისი თქმაც მათ უნდოდათ, ვალიარებ, რომ მე ვარ ორატორი, მაგრამ არა მათნაირი მჭერმეტყველი. რაც არ უნდა მოხდეს, მე გიმეორებთ, რომ მათ არ უთქვამთ სიმართლე. სამაგიეროდ მე მხოლოდ სიმართლეს ვილაპარაკებ. ვფიცავ ზეცას, თქვენ ვერ მოისმენთ ათენელებო, მათი სიტყვებივით მორთულ-მოკაზმულსა და ზიზილ-პიპილებით შემკულ სიტყვას, მე ვლაპარაკობ უბრალო ენაზე. მე ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ სიმართლეს ვილაპარაკებ და არცერთი თქვენგანი არ მოისმენს სხვა რამეს.

ათენელებო, არ შემფერის ხანდაზმულ კაცს, საგანგებოდ შეთხზული სიტყვით გამოვიდე თქვენს წინაშე უწვერული ჭაბუკის მსგავსად.

■ მე თქვენ გეუბნებით, რასაც ვილაპარაკებ ჩემს გამოსვლაში დარწმუნდებით, რომ იმავე სიტყვებით ვიცავ თავს, როგორც ვლაპარაკობ

ხოლმე მოედნებზე თუ მეწვრილმანეების დახლებთან, დღესასწაულებზე, შეხვედრებზე და კიდევ ბევრ თქვენგანს მოუსმენია ჩემთვის სხვადასხვა ადგილებზე. ნუ გაოცდებით ამის გამო. საქმე ისაა, რომ მე, სამოცდაათი წლის ასაკში პირველად მიწევს მსაჯულთა წინაშე გამოსვლა და ამიტომ ჩემთვის უცხო ენასავით უცნობია სამსჯავროს ენა.უცხოელი რომ ვიყო და იმ კილოზე, იმ ენაზე ვლაპარაკობდე, რომელსაც ბავშობიდანვე მშობლიურად ვთვლიდი, დღეს მე თქვენ გთხოვთ და ვფიქრობ, რომ ჩემი მოთხოვნა არის სამართლიანი. არ მიაქციოთ ყურადღება ჩემს მეტყველებას, რომელიც არც თუ ისე კარგი მოსასმენია, მაგრამ მთელი თქვენი ყურადღება მიაპყარით ჩემს მტკიცებულებებს, რომელიც არის სამართლიანი, რადგან ეს თქვენ დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რადგან მსაჯულის ღირსება- სიმართლის დანახვაა, ხოლო მჭერმეტყველის-სიმართლის თქმა.

II. - ათენელებო, ეხლა დავიწყებ პასუხის გაცემას ჩემს წინააღმდეგ აგორებულ ძველ ცილისწამებებზე და პასუხს გავცემ ჩემს პირველ ბრალმდებლებს, შემდეგ ვუპასუხებ ახალ ბრალდებას და ბრალმდებლებს, რადგან მე უკვე რამდენიმე წელია მადანაშაულებენ თქვენს წინაშე, მათ არასოდეს უთქვამთ სიმართლე და მე მათი უფრო მეშინია, ვიდრე მელეტოსის და მისი თანამოაზრეების, რომლებსაც ასევე ეშინიათ მათი. დიახ, ათენელებო, პირველი ბრალდება არის საშინელი, რადგან არიან ისეთები თქვენს შორის, რომლებმაც ბრალი დამდეს და თქვენ ბავშვობიდანვე ჩაგინერგეს ის აზრი, რომ არსებობს ვილაც მცოდნე სოკრატე, რომელიც იკვლევს ყველაფერს, რაც მიწის ზემოთაა და რაც მიწის ქვეშაა და ბოროტი განზრახვებით ქადაგებს სიკეთეებს? ხალხმა, რომლებმაც ხმები დამიყარეს, მიმაჩნია ყველაზე

საშიშ ბრალმდებლებად, ვინაიდან მათ ჰგონიათ, რომ კაცს, რომელიც იკვლევს ყოველივე იმას, რასაც მე ვიკვლევ, ალბათ ღმერთებიც არ სწამს. ისინი ძალზე ბევრნი არიან და დიდი ხანია მდებენ ბრალს. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ჯერ კიდევ ყმაწვილები და ყრმები იყავით და ამიტომაც ადვილად იჯერებდით ყველაფერს. ისინი ბრალს მდებდნენ დაუსწრებლად და არ შემეძლო თავის მართლება. რაც ყველაზე სამწუხაროა, თითქმის შეუძლებელია მათი ამოცნობა ანდა კიდევ მათი დასახელება, ერთი კომედიოგრაფის[1] გარდა.

რაც შეეხება დანარჩენებს, რომლებიც შურის ან ღვარძლის გამო გამხედრებდნენ ჩემს წინააღმდეგ გულუბრყვილოდ დაიჯერეს ჩემი სახელის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმა და მერე სხვების დაჯერებაც მოახერხეს; თითქმის შეუძლებელია მათი წარდგენა სასამართლოს წინაშე და მე იძულებული ვარ ბრძოლა გამოვუცხადო აჩრდილს, ჩემი თავის დასაცავად ისე რომ არავინ მიპასუხოს. ყური დამიგდეთ, იმას რასაც მე გეუბნებით მე საქმე მაქვს ორი ტიპის ბრალმდებლებთან: ერთის მხრივ, ისინი ვინც მე ბოლოჯერ სასამართლოში მიჩივლეს და მეორეს მხრივ, ის ძველი ბრალმდებლები, რომლებზეც ეს ეს არის გელაპარაკეთ.

დამეთანხმეთ და აღიარეთ, რომ თავდაპირველად ამ უკანასკნელთაგან უნდა დავიცვა თავი, ვინაიდან მათი ბრალდება უფრო ადრე და უფრო ხშირად მოგისმენიათ ვიდრე ახლანდელი.

ათენელებო, ეხლა საჭიროა დავიცვა თავი და მოკლე ხანში უარვყო ის ცილისწამება, , რომლისგანაც დიდი ხანია იკვებებით. ვისურვებდი, რომ გამეთავისუფლებინეთ ამისაგან, ვისარგებლებ ამ შემთხვევით და დავიწყებ თავის დაცვას, ეს ძალიან ძნელი მეჩვენება, მეტიც, ---თითქმის შეუძ-

ლებელია დაე ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ღმერთს ნებავს. დავემორჩილო კანონს და თავი ვიმართლო.

III.-----დავიწყოთ თავიდან, თუ რაში მდგომარეობს ბრალდება, რომელმაც დასაბამი მისცა ჩემს წინააღმდეგ მომართულ ცილისწამებას და რომელზე დაყრდნობითაც მელეტოსმა თქვენს წინაშე მიჩივლა. ვნახოთ ზუსტად თუ რას ამბობენ ჩემზე ეს ცილისმწამებლები!

წარმოვიდგინოთ, რომ ისინი წარსდგნენ ჩვენს წინაშე და წავიკითხოთ მათი საბრალდებო აქტი: "სოკრატე მკრეხელობს და ფეხქვეშ თელავს კანონს: ის მოურიდებლად ცდილობს გაიგოს ქვესკნელისა და ზესკნელის საიდუმლობები, ბოროტი განზრახვებით ქადაგებს სიკეთეს და სხვებსაც იგივეს ასწავლის" და აი, შინაარსი: თქვენ ყველას გინახავთ არისტოფანეს კომედიაში, როგორ წრიალებს მოქანავე გოდორში ვილაც სოკრატე და თან გაჰყვირის: ჰაერში დავქრიავარ: ათენელებო, მე მხოლოდ იმის თქმა მსურს რომ ამ საქმის არაფერი გამეგება.[2]

მოწმედ შემიძლია მოვიყვანო ბევრი თქვენთაგანი. ვთხოვ ყველას, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ჩემი საუბარი. გაიხსენეთ და გულდასმით აწონ-დაწონეთ. ჰკითხეთ ერთმანეთს, ოდესმე მაინც სმენია რომელიმე თქვენგანს რაიმე ამგვარი მეთქვას ამ საკითხთან დაკავშირებით და თავად დარწმუნდებით სიმართლეში იმ ბრალდებებისაგან განსხვავებით, რომელიც აგორდა ჩემს წინააღმდეგ.

IV.---- ამ ჭორებში არ არის არავითარი სიმართლე და თუ თქვენ ვილაცამ გითხრათ, რომ მე სწავლაში ფულს ვახდევინებ- ესეც ტყუილია. თუმცა არ ვარ ისეთი ძლიერი, რომ გავანათლო ადამიანები, როგორებიც იყვნენ გორგიასი, ლეონტინელი, პროდიკე კეოსელა და ჰიპია ელდესი.[3]

ათენელებო, თითოეული მათგანი ქალაქ-ქალაქ დადის და არწმუნებს ჭაბუკებს, რომლებსაც კაცმა რომ თქვას არაფერი უშლით ხელს, უფასოდ ისარგებლონ თავიანთი თანამოქალაქეების რჩევა —დარიგებით, ზურგი აქციონ თავისიანებს და მაინცდამაინც მას დაუდგნენ შეგირდად, ხოლო სანაცვლოდ ფული უხადონ და ფულს მადლობაც ზედ მიაყოლონ. მითხრეს, რომ აქ არის აგრეთვე ერთი მცოდნე ადამიანი პაროსელი ბრძენი.[4]

ამას წინათ, შემთხვევით შემხვდა კაცი, რომელმაც ყველაზე მეტი ფული გადაუხადა სოფისტებს, ვიდრე ყველა თქვენთაგანმა ერთად, კალიასი ჰიპონიკეს[5] ძე.

მე მას ვკითხე, თავის ვაჟიშვილებთან დაკავშირებით: ერთი ეს მითხარი ჩემო კალიას"შენი ვაჟები რომ კვიცები იყვნენ ანდა მოზვრები, ხოლო ჩვენ დავალებული გვქონდეს მხედლები გამოგვეძებნა მათთვის, რომლებიც შეძლებდნენ სათანადოდ გაეწვრთნა და გაეხედნა ისინი, ცხადია, მას მხედართა და მხვნელმთესველთა შორის ამოვარჩევდით არა? მაგრამ რაკი ისინი ადამიანები არიან, როგორ გგონია ვის ავირჩევთ მათ ალმზრდელად? ვინ არის ადამიანური თუ სამოქალაქო საქველის მცოდნე? შენ ალბათ გიფიქრია ამ საკითხზე, რაკი ვაჟების მამა ხარ. მიპასუხე, გყავს თუ არა ვინმე ნაპოვნი ?" დიახ- მიპასუხა მან. "ვინ არის, რომელი ქვეყნიდან არის და რამდენი უნდა გადაუხადო გაკვეთილებში?" "ეს გახლავთ პაროსელი, ილებს ხუთ მინს"- მპასუხობს, მე მიმაჩნია, რომ ევენოსი იყო ბედნიერი ადამიანი, თუ მართალია, რომ ის ფლობს ამ ხელოვნებას და ასწავლის ძალიან იაფად. ყოველ შემთხვევაში ვიქნებოდი ამაყი და სახელოვანი, რომ შემძლებოდა ახალგაზრდების ალზრდა, მაგრამ ათენელებო, გულახდილად გეუბნებით, რომ არ ვიცი.

V.--- შესაძლებელია, რომ რომელიმე თქვენ-
თაგანმა თქვას: "სოკრატე, რასთან გვაქვს საქმე, საიდან მოდის ეს ჭორები, რომლებიც გავრცელდა შენს წინააღმდეგ, რადგან შენც იმავე საქმეს ადგახარ რომელსაც ადგას ყველა ჩვენთაგანი? უეჭველად აგცდებოდა ამდენი მითქმა-მოთქმა, რატომ არის ამხელა ამბავი ატეხილი შენს წინააღმდეგ? გვითხარით რაშია საქმე რათა ტყუილად არ ვიმტვრიოთ თავი." ეს კითხვა დროული მეჩვენება და სწორედ შეეცდები აგიხსნათ თუ საიდან მოდის ეს ცილისწამება. მაშ მომისმინეთ. შეიძლება ზოგ თქვენგანს გონია, რომ მე ვხუმრობ, დარწმუნებულები იყავით, რომ მე მხოლოდ სიმართლეს გეტყვით. რეპუტაცია, რომელიც მე შემიქმნეს მოდის მხოლოდ იმ სიბრძნიდან, რომელიც ჩემშია. რა არის ეს სიბრძე? ეს შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადამიანური სიბრძნე. ზემოხსენებული სოფისტები კი, როგორც ჩანს, რომელიღაც სხვა ადამიანურ სიბრძნეზე უფრო მაღალი სიბრძნით არიან ბრძენნი, არც კი ვიცი რა სახელი ვუწოდო მას, ხოლო ვინც სხვა რამეს ამტკიცებს, ცრუობს, ურცხვად დამწამოს ცილი.

ათენელებო! ნუ ყაყანებთ, თუ გგონიათ, რომ თავი მომაქვს მაღალფარდოვანი სიტყვებით, ჩემი სახელით კი არ ვილაპარაკებ, არამედ დავემოწმები მას, ვისიც გწამთ და ვისაც ენდობით. ჩემი სიბრძნის მოწმედ, თუკი საერთოდ გამაჩნია სიბრძნე, მოვიყვან დელფოსელ ღმერთს. თქვენ ყველა იცნობთ ხერეფონს.[6]

ის იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი და ხალხის მეგობარი, ერთხელ დელფოსში ჩასულმა გაბედა და ამგვარი კითხვით მიმართა მისანს...

- ათენელებო! აკი გთხოვეთ ნუ ყაყანებთ მეთქი მან იკითხა, რომ თუ არის ამ ქვეყნად სოკრატეზე ბრძენიო- პითიამ უპასუხა, არავინო. მართალია, ხერეფონი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი ძმა გვესწრება აქ და ის დამემოწმება, რომ მართალს ვამბობ.

VI.---- ახლა გაითვალისწინეთ, რატომ გეუბნებით ამას. ის რაც მე უნდა აგიხსნათ არის იმ ბრალდების წარმომავლობა, რომლის მსხვერპლი მე გავხდი. როდესაც პითიას სიტყვა მაუწყეს, ჩავფიქრდი, რისი თქმა სურს ღმერთს და რა იმალება ამ სიტყვების უკან? რისი თქმა სურს, როდესაც ის ამტკიცებს, რომ მე ვარ ბრძენი? მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ღმერთი ცრუობდეს, არ ეკადრება მის ღირსებას მეთქი. დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი რაში მდგომარეობდა მისი აზრი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიტანე შემდეგი დასკვნა: ვიყავი სტუმრად ერთ ადამიანთან , რომელიც იყო ბრძენთაგან შორის ერთ-ერთი ბრძენი და ვფიქრობდი, რომ მის ნინაშე მაინც შევძლებდი მემხილებინა მისნის სიცრუე და ასეთი სიტყვა მეკადრებინა მისთვის: " აი, ჭეშმარიტი ბრძენი, შენ კი ბრძენთა ბრძენად გამომაცხადე მეთქი". მაგრამ როცა კარგად დავუკვირდი ამ კაცის-სახელს არ გეტყვით, ათენელებო, ის ვისაც ფარულად ვეწვიე სახელმწიფო მოღვაწე იყო, -და გული ვიჯერე მასთან საუბრით. არ მჭირდება მისი გვარის დასახელება, მაგრამ ის იყო ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწე. მასთან საუბრისას მომეჩვენა, რომ მხოლოდ საკუთარ თვალში ჩანდა ბრძენი, სინამდვილეში კი სიბრძნის არა ეცხო რა, რისთვისაც მისი, ისევე როგორც ბევრი თქვენთაგანის სიძულვილი დავიმსახურე. უკან გამობრუნებულმა უკვე ვიცოდი, რომ მასზე ბრძენი ვარ. შესაძლებელია, რომ არცერთმა ჩვენთაგანმა არაფერი არ იცოდეს ,მაგრამ ის ფიქრობს, რომ მან იცის რაღაც. მაგრამ მან არაფერი იცის, მე კი რადგან არა ვიცი რა, არც ვიჩემებ რაიმეს ცოდნას. სწორედ ამ მცირედით ვარ უფრო ბრძენი,სახელდობრ, იმით, რომ რაკი არაფერი არ ვიცი არც მგონია, რომ რაიმე

ვიცი. ამის შემდეგ კიდევ შევხვდი ერთერთს მათ შორის, რომელიც პირველზე უფრო ბრძენი ჩანდა და კვლავ იგივე გამეორდა. იქაც შემიძულეს მანაც და ბევრმა სხვამაც.

VII.----ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ვგრძნობდი, რომ მტრებს ვიჩენდი და განვიცდიდი მწუხარებასა და შიშს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მე ვალდებული ვიყავი, ვყოფილიყავი ღმერთის სამსახურში. წინასწარმეტყველების მიხედვით მე უნდა მომეძებნა ყველა ის ადამიანი, ვინც ფლობდა გარკვეულ სიბრძნეს. მაშ , ათენელებო, ვფიცავ ძაღლს' გარწმუნებთ, რომ გეტყვით სიმართლეს თუ რა შემემთხვა. ისინი ვისაც ყველაზე დიდი სახელი ქონდათ მოხვეჭილი, ბრძენკაცებად კი არა, ლამის შტერებად და ყეყეჩებად წარმომიდგნენ, ხოლო, ისინი, რომელთა სახელსაც აშკარად ჩრდილავდა პირველთა დიდება, უფრო ჭკუადამჯდარნი მეჩვენნენ.. უნდა მოგიყვეთ ჩემი იმ შეხვედრების შესახებ, რომელზედაც გავწიე საკმაოდ დიდი შრომა, რათა გამეცხადებინა მისნობის ფარული აზრი..

სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრების შემდეგ, შევხდი პოეტებს, ტრაგიკოსებს, დითირამბისტებს და სხვებს, რომ აქ მაინც მემხილებინა თავი და დავრწმუნებულიყავი, რომ მათზე უვიცი ვარ. ავიღე მათი ნაწარმოებები, რომლებიც კარგ ნამუშევრებად მომეჩვენა და ვკითხე თუ რისი თქმა სურდათ ამ ქმნილებებით, რათა ცოტა რამ მაინც მესწავლა მათგან. მრცხვენია ათენელებო სიმართლე უნდა გითხრათ. მიუხედავად ამისა, ყველანი ისინი ვინც მე წარმოვადგინე ,თითქმის ყველა იქ მყოფი უფრო უკეთესად ახსნიდა ამ პოეტების ქმნილებებს, ვიდრე თვით მათი შემოქმედნი. ძალიან მალე მივხვდი, რომ პოეტები სიბრძნით კი არ ქმნიან მას, რასაც ქმნიან, არამედ ერთგვარი ბუნებრივი ნიჭისა და ღვთიური სიშმაგის წყალობით,

რომლებიც ბევრ მშვენიერ რამეს გვიცხადებენ სიტყვით, მაგრამ თვითონ კი არ იციან, რას გვიცხადებენ. მომეჩვენა, რომ პოეტებიც რაღაც ამდაგვარ რამეს განიცდიან. შევნიშნე, რომ რაკი ლექსების თხზვა შეუძლიათ, ჰგონიათ, თითქოს სხვა მხრიდან ყველას აღემატებიან სიბრძნით. მე ისინი დავტოვე და ვფიქრობდი, რომ მათაც იმითვე აღემატები, რითაც სახელმწიფო მოღვაწეებს.

VIII.----ბოლოს ჯერი ხელოსნებზე მიდგა, მე ხომ ვიცი, რომ არას შემძლე და არაფრის მაქნისი ვარ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ შორის ვპოვებდი ბევრი მშვენიერი ხელობის მცოდნეთ. არ შევმცდარვარ, მათ იცოდნენ ბევრი ისეთი რამ, რაზედ წარმოდგენა არ მქონდა და მათ უფრო მეტი იცოდნენ ვიდრე მე. ათენელებო, რომ ეს დიდებული ოსტატები ისევე ცოდავდნენ, როგორც პოეტები. რადგან ისინი თავის საქმეს ძალიან კარგად აკეთებდნენ და თითეული მათგანი ძალიან დარწმუნებული იყო თავის ცოდნაში და ეს ბრიყვული შეცდომა აშკარად ჩრდილავდა მათ სიბრძნეს.

იმისათვის რომ წინასწარმეტყველება დამედასტურებინა, მე ჩემს თავს ვეუბნებოდი, რას ამჯობინებ-დარჩე იმად რაც ხარ და არ იყო ბრძენი მათი სიბრძნით, არც უმეცარი მათი უმეცრობით, თუ გსურს მათსავით ბრძენიც იყო და უმეცარიც? ამ კითხვის პასუხად ასე მივუდექი მისანსაც და საკუთარ თავსაც: დავრჩე ისეთი როგორიც ვარ.

IX.--- სწორედ ამ კვლევის მიხედვით ათენელებო, ბევრმა თქვეთაგანმა შემძულა უმძაფრესი და უსასტიკესი სიძულვილით, რასაც დასაბამი მისცა ამდენ მითქმა-მოთქმას. მეორეს მხრივ, ხალხში ბრძენის სახელი გამივარდა, ვინაიდან ჩემი მსმენელნი ერთთავად იმას ფიქრობენ, რომ რაკი მე ვამტკიცებ-მავანსა და მავანს სიბრძნის არა სცხია

მეთქი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავად ვიჩემებ ბრძნობას. სინამდვილეში კი ბრძენი მხოლოდ ღმერთია. ათენელებო! მისნის პირით იმის თქმა სურს, რომ კაცის სიბრძნეს ჩალის ფასი აქვს. თუ მან დაასახელა სოკრატე, მეჩვენება, რომ გამოიყენა ჩემი სახელი მაგალითისთვის და ამბობდა:
"ადამიანებო, თქვენს შორის ყველაზე ბრძენი არის ის, ვინც გაიგო, რომ სოკრატეს სიბრძნე არაფერი არ არის." და ასე, ამრიგად დღემდე დავეხეტები და ღმერთის სიტყვის თანახმად, დღენიადაგ ვეძებ და ვჩხრეკ, ვინ ვალიარო ბრძენკაცად თანამოქალაქეთა თუ უცხოელთა შორის და ამდენი მცდელობის მიუხედავად, იმედგაცრუებული ცვდილობ ყველას დავუმტკიცო, რომ ღმერთი მართალია, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება არცერთი ბრძენი. აი, რამ შეინირა ჩემი წუთისოფელი. რატომ ვერ მოვაბი თავი რაიმე ღირსახსოვარ, საზოგადო თუ პირად საქმეს, ვცხოვრობ ძალიან ღარიბულად, რადგან ვარ ღმერთის სამსახურში.

X.--- ეგეც არ იყოს, ჩემი მიმდევარი ათენელი ჭაბუკები, მდიდარი ოჯახის შვილები, რომლებსაც თავზე საყრელად აქვთ დრო ნებაყოფლობით არიან ჩემთან. ისინი დიდი სიამოვნებით მისმენენ, როდესაც ვცდი ადამიანებს და ხშირად თვითონაც ცდიან სხვებს მგონია, რომ მათ ანკესებზეც ბლომად ეგებიან ისეთნი, რომლებსაც გონიათ, რომ იციან რაღაც, მაგრამ მათ არაფერი იციან, ან იციან ცოტა რამ. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთი დაკითხონ -მე მცდიან და ამბობენ, რომ არის ვილაც სოკრატე, ავაზაკი, რომელიც რყვნის ახალგაზრდებს. აბა კითხეთ მათ, ვინ არის ეს სოკრატე და რას ასწავლის ახალგაზრდობას? მერწმუნეთ, ფეტვის მარცვალივით დაიბნევიან და თავიანთი დაბნეულობა რომ დამალონ ერთხმად მოჰყვებიან ლანძღვა-გინებას, რომლითაც საერთოდ უმასპინძლდებიან ფილოსოფოსებს. ისევ გამოჩხრეკენ "ზესკნელისა და ქვესკნელის, ისევ შეაჩვენებენ სიცრუის სიმართლედ გამსაღებელს". სიმართლის თქმა კი არ სურთ, მე მგონია, იმიტომ, რომ მაშინვე ფარდა აეხდება მათ საიდუმლოს, მაშინვე გამოაშკარავდება, რომ თავს გვაჩვენებენ მცოდნეებად, სინამდვილეში კი არაფერი არ იციან. ხოლო რაკი ისინი ჩემის აზრით პატივმოყვარენი, ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი არიან და თანაც ასე დაჟინებით და დაბეჯითებით ლაპარაკობენ ჩემზე, ალბათ რა ხანია გამოგიყვესეს ყურები ჩემი ცილისწამებით და ლანძღვა-გინებით. მათ რიცხვს ეკუთვნიან ჩემი დამსმენნიცმელეტოსი, ანიტოსი და ლიკონი.მელეტოსი პოეტის გამო მძვინვარებს. ანიტონი ხელოსნებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს იცავს, ხოლო ლიკონი კი ორატორებს. როგორც თავში მოგახსენეთ, ძალიან გამიკვირდებოდა თუ ესოდენ მოკლე დროში შევძლებდი ამ უსაშველოდ გაბერილი და გაზვიადებული ცილისწამებების უარყოფას.

ათენელებო! ასეთია შეუფარავი და შეულამაზებელი სიმართლე, არც არაფერი გამიყალბებია და არც არაფერი გადამისხვაფერებია. თუმცა ვიცი, რომ სანაცვლოდ მხოლოდ თქვენს სიძულვილს მოვიმკი, მაგრამ სწორედ ეს მოწმობს, რომ სიმართლეს ვამბობ, სწორედ ამიტომ მწამებენ ცილს, სწორედ ეს გახლავთ ცილისწამების მიზეზიც. რაც არ უნდა გაგერჩიათ ჩემი საქმე ადრე თუ უფრო გვიან, სულერთია არაფერი შეიცვლებოდა.

XI რაც შეეხება ჩემს პირველ ბრალდებას, ვფიქრობ, რომ თქვენთვის თავის ასეთი მართლება საკმარისი უნდა იყოს. ეხლა არც კი ვეცდები მელეტონისაგან, როგორც თვითონ ამტკიცებს, კეთილი და მშობლიურ ქალაქზე თავგადაკლული კაცისაგან დავიცვა თავი. ისინი ადრინდელ ბრალდებებს როდი ჰგვანან, ამიტომ მოდი გავიხ-

სენოთ მათი ფიცით დამოწმებული საჩივარი. ტექსტი დაახლოებით არის შემდეგი: " საბრალდებო აქტით სოკრატე ფეხქვეშ თელავს კანონს, ვინაიდან რყვნის და აფუჭებს ახალგაზრდობას, არ სცნობს ღმერთებს,რომელთაც თაყვანს სცემს ქალაქი, არამედ ალიარებს რომელიღაც ახალ ღვთაებებს" -ამგვარი არის ბრალდება; განვიხილოთ თითოეული ეს ბრალდება ცალ-ცალკე.

ბრალმდებელი მადანაშაულებს ახალგაზრდობის გარყვნაში და ათენელებო, ვამბობ, რომ თვითონ მელეტოსი არის დამნაშავე, დაუდევრად იბარებს ხალხს სასამართლოში და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს მართლაც გული შეტკიოდეს იმ საქმეზე, რისი გულისთვისაც თავი არასოდეს შეუწუხებია. ვეცდები დაგიმტკიცოთ, რომ მართალს ვამბობ.

XII.–მომიახლოვდი მელეტოს და მიპასუხე: შენ ხომ ყველაზე მაღლა აყენებ იმას, რომ ჩვენი ჭაბუკები ღლიტიდღე უფრო ზნესრულნი და სრულყოფილნი ხდებოდნენ? —რა თქმა უნდა, მაშ უთხარი საკრებულოს თუ ვინ არის ის, ვინც მათ გააკეთილშობილებს. სარწმუნოა, რომ ეს შენ იცი, რაკი ამ საქმეზე გული შეგტკივა. აქ დამიბარე და ბრალს მდებ, კეთილი ინებე და მათი სრულმყოფიც დამისახელე. ხომ ხედავ სდუმხარ მელეტოს, იმიტომ, რომ არ იცი რა ქთვა. არ გეჩვენება, რომ ეს შენი საქციელი არის სასირცხვილო, განა ეს არ მოწმობს ჩემს სიმართლეს, განა ეს არ არის საუკეთესო დასტური იმისა, რომ ამ საქმით არასოდეს აგიტკიებია თავი?! მიპასუხე, ვინ არის ის, ვინც სრულყოფს მათ ? – კანონები!

- ამას არ გეკითხები ღირსეულო, ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც უწინარეს ყოვლისა იცის კანონები?

-ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც შენს წინაშე არიან სოკრატე, მოსამართლეები.

-შენი თქმით, მელეტოს, ეს ის ადამიანები არიან ვისაც შესწევთ უნარი გაანათლონ აღზარდონ ჩვენი ჭაბუკები?

-- შეუძლიათ და მერე როგორ

-- ყველას თუ ზოგს შეუძლია, ზოგს კი არა?

-- ყველას!

-- დიდებული პასუხია. ეფიცავ. ერას', ჩვენ მსმენელზე რაღას იტყვი, ნუთუ ისინიც სრულყოფენ ჭაბუკებს!

-- დიახ, ისინიც. . .

-- სათათბიროს წევრებიც!

-- რაღა თქმა უნდა. . .

--- კი მაგრამ, მელეტოს, ვინღა აფუჭებს ამ ჩვენ ჭაბუკებს, იქნებ სახალხო საკრებულოს მონაწილენი? თუ ისინიც უკლებლივ სრულყოფენ მათ?

-- ცხადია ისინიც!

-- როგორც ჩანს, ჩემს გარდა, ყველა ათენელი სრულყოფს ჩვენს ჭაბუკებს და მარტო მე ვრყვნი მათ. ამას ამტკიცებ?

-- სწორედ მაგას!

-- რაღა მეშველება მე უბედურს, მაგრამ ერთი ამ კითხვაზეც მიპასუხე: შენ გგონია, რომ იგივე შეიძლება ითქვას ცხენებზე? ყველა სრულყოფს და მხოლოდ ერთი კაცი აფუჭებს მათ გაწვრთნილობას? თუ პირიქით, ცხენების სრულყოფილი ხედნა მხოლოდ ერთს ან ძალიან ცოტას თუ შეუძლია, სახელდობრ მხედრებს, მაშინ როცა ყველა დანარჩენი მხოლოდ აფუჭებს მათ. იგივე არ ითქმის მელეტოს ყველა სხვა ცხოველის მიმართ? რა თქმა უნდა... მითხარი, შენ და ანიტოსიც იზიარებთ თუ არა ამ აზრს? და ბედნიერი იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდობა, მხოლოდ ერთი კაცი, რომ რყვნიდეს, ყველა დანარჩენი კი სრულყოფდეს მას. თუმცა შენ ეჭვმიუტანლად დაგვიმტკიცე მელეტოს, რომ არასოდეს აგიტკიებია თავი ახალგაზრდობაზე

ზრუნვით და გვიჩვენე შენი გულგრილობა მათ მიმართ, ასევე გულგრილად და დაუდევრად დამიბარე სასამართლოში.

XIII--- ზევსის გულისათვის მელეტოს, მითხარი კიდევ ერთხელ რა სჯობს იცხოვრო კეთილშობილთა თუ ავკაცთა შორის? მაშ მიპასუხე ჩემო მეგობარო, მე შენ ძნელ რამეს არ გთხოვ. განა ავკაცნი შავ დღეს არ აყრიან თავიანთ მოყვასთ, ხოლო კეთილშობილნი კეთილისმყოფელნი არ არიან მათი?

--- რა თქმა უნდა!

.---მერედა, განა ჩვენს შორის მოიძებნება ვინმე ისეთი, ვისაც ბოროტისმყოფელი ურჩევნია კეთისლმყოფელს?

--- რასაკვირველია არა.

–მაშ ვნახოთ: როდესაც მე მადანაშაულებ იმ მიზეზით, რომ მე ვაფუჭებ ახალგაზრდებს და მათ ცუდათ ვექცევი, გჯერა თუ არა რომ მე ამას ნებით ვაკეთებ თუ უნებლიეთ?

---ნებით!

----ვითომ მელეტოს, ნუთუ შენ, ყმაწვილი კაცი უფრო ჭკვიანი ხარ ვიდრე ბებერი სოკრატე? ნუთუ მიხვდი, რომ ავკაცნი შავ დღეს აყრიან თავიანთ მოყვასთ, ხოლო კეთილშობილნი კეთილსმყოფელნი არიან მათი. ეს კი ბერიკაცი იმდენად უგუნური ვგონივარ, რომ ვერ მივხვედროდი მარტივ ჭეშმარიტებას, თუ მე არამზადად ვაქცევ რომელიმე მოყვასს. თავადვე უნდა მეშინოდეს მისი სიავის. შენი სიტყვებით მე შეგნებულად ჩავდივარ ამ გაუგონარ ბოროტებას? როგორ გერწმუნო ჩემო მელეტოს ან როგორ გერწმუნონ სხვები? სიმართლეა ის, რომ მე არავის არ ვაცდენ და თუ მე ვინმეს ვაფუჭებ ეს არის უნებლიედ ამ შემთხვევაში, თუ სხვა შემთხვევაში ტყუიხარ, მაგრამ თუ მე უნებლიედ ვაფუჭებ ვინმეს სახალხოდ არ უნდა ხდებოდეს ჩემი უნებლიე

შეცდომების განხილვა: პირველ რიგში აუცილებელია ადამიანის გაფრთხილება და მისი სწორ გზაზე დაყენება, რადგან ნათელია, რომ როდესაც ერთხელ მასნავლი მე მეორედ აღარ დაუშვებ იგივე შეცდომას, რაც უნებლიედ მომივიდა. შენ ყოველთვის ერიდებოდი ჩემთან საუბარს და არ მასნავლიდი, შენ არასოდეს შეგეძლო ამ პრობლემის გადაწყვეტა და აი, შენ მე გამომიძახე იქ, სადაც მხოლოდ განსასჯელი მოყავთ და არა ისინი ვისაც ჭკუა უნდა ასწავლო. ათენელებო, განა ეს არ მოწმობს, რომ მელეტოსს, არასოდეს აუტკიეია თავი ამ საქმით.

XIV–ათენელებო, ნათლად ხვდებით იმას ,რასაც ვამბობდი წელან, რომ მელეტოსს ამაზე არასოდეს არ უზრუნია. თუმცა აგვიხსენით თუ რატომ მიგაჩნიათ, რომ ვრყვნი ახალგაზრდებს. საჩივარი რომელიც შენ დაწერე, ადასტურებს იმას, რომ მე ვუქადაგებ მოსახლეობას სხვა ღმერთებს? და ნიშნავს თუ არა ეს რომ მე მათ ვრყვნი?

---დიახ მე ამას ვადასტურებ.

---კარგი მელეტოს, ამავე ღმერთების სახელით, რომლებზეც არის ლაპარაკი, როგორც ჩემთვის ისე ხალხისთვისაც გასაგებად ილაპარაკე; რადგან არის რალაც, რასაც მე ვერ ვგებულობ. იმას ამტკიცებ, რომ თითქოს მე ვმოძღვრავ ახალგაზრდობას, აღიაროს რომელიღაც ახალი ღმერთი და მაშასადამე თვითონვე ვაღიარებ ღმერთების არსებობას და არ შეიძლება პირწავარდნილი უღმერთოდ მეწოდოს და ამ მხრივ როდი ვცოდავ, ვაღიარებ არა იმ ღმერთებს, რომელთაც თაყვანს სცემს ქალაქი და სწორედ ამაში მდებენ ბრალს- თუ იმის დამტკიცება გსურს, რომ საერთოდ უარვყოფ ღმერთებს და არა მარტო თავად უარვყოფ, არამედ სხვებსაც ამასვე შთავაგონებ?

--- მე ვამტკიცებ, რომ შენ სრულიად არ ცნობ ღმერთებს.

-- ძვირფასო მელეტოს! რა მიზეზით ეთანხმები ამას? სხვებისგან განსხვავებით არ ვცნობ არ ვთვლი, არც მზეს და არც მთვარეს ღმერთებად?

-- ვფიცავ ზევსს, მართლაც ასეა, მოსამართლენო: ის ამტკიცებს, რომ მზე-ქვაა, მთვარე კიმინა.

-- როგორც ჩანს ადანაშაულებ ანაქსაგორას[9], ჩემო ძვირფასო მელეტოს და ასე როგორ შეცდი, რომ უვიცებად მოგეჩვენა მოსამართლეები, რომ თითქოს მათ არ იციან ანაქსაგორა კლაზომენის წიგნები, რომლებიც სავსეა ამგვარი თეორიებით. ჭაბუკებიც, თურმე ჩემი წყალობით იგებენ ამას, თუმცა შეუძლიათ ორქესტრაში შეიძინონ ეს წიგნები ერთ დრახმად (orchestra[10]) რომ შემდეგ მასხრად აიგდონ სოკრატე. ეს ძალიან უცნაურად ჟღერს. ზევსის გულისათვის ეს მართლაც შენი იდეა იყო, რომ მე არ მწამს არცერთი ღმერთი?

-- დიახ ვფიცავ ზევსს!

-- დაუჯერებელია მელეტოს და მგონია, რომ შენ თვითონ არ გჯერა შენივე სიტყვების. ათენელებო, ვფიქრობ, რომ მელეტოსი არის შარიანი და შლეგი. ჩემ მიმართ ბრალდებაც სწორედ თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო შეთხზა. ეს ბრალდება გამოცანას უფრო გავს: " აბა ვნახოთ, თუ გამოიცნობს ეს ჩვენი ბრძენი სოკრატე, რომ მე ვხუმრობ და ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები,-თუ შევძლებ გავაცურო ისიც და დანარჩენი მსმენელებიც?" რადგან მე მართლა მგონია, რომ ის თავის თავს ეწინააღმდეგება, თითქოს ამის თქმა სურსო: სოკრატე მკრეხელობს, არა იმიტომ, რომ არ აღიარებს ღმერთებს, არამედ იმიტომ, რომ აღიარებს ღმერთებს. იონიც, თუ გნებავს ესაა სწორედ.

XV.– ათენელებო, განვიხილოთ ჩემთან ერთად, თუ რატომ ვფიქრობ, რომ ის თავისთავს ეწინააღმდეგება. მიპასუხე მელეტოს. თქვენ ნუღარ გამამეორებინებთ თხოვნას; ნუ აყაყანდებით თუ ჩემებურად ვილაპარაკებ.

მოიძებნა თუ არა მელეტოს ამ ქვეყნად ისეთი კაცი, რომელიც აღიარებს ადამიანთა მოქმედებას და შემოქმედებას, თვით ადამიანების არსებობას კი არ აღიარებს? დაე, მიპასუხოს მოქალაქეებო, თქვენ კი გთხოვთ, ნუ ყაყანებთ ასე უაზროდ და უმიზეზოდ. მოიძებნა თუ არა ის ადამიანი, რომელიც არ აღიარებს ცხენების არსებობას, ცხენოსნობას კი აღიარებს? არ მოიძებნება, ჩემო კეთილო მელეტოს. თუ არ გსურს მიპასუხო შენც და და ყველა აქ დამსწრესაც გეტყვით. იქნებ ამ კითხვაზე მაინც გამცე პასუხი. - მოიძებნება თუ არა კაცი, რომელიც აღიარებს დემონურობას, თვით დემონებს კი არ აღიარებს?

-- არა არ მოიძებნება!

-- მადლობა ღმერთს,ძლივს არ გაიძულეს ათენელებმა პასუხი გაგეცა ჩემთვის? შენ ამტკიცებ, რომ მე ვაღიარებ დემონურობას, ახალია თუ ძველი ეს მრწამსი; მთავარი ისაა, რომ მე ვაღიარებ დემონურობას, და რომ შენ ფიცით დაუმოწმე აქ შეკრებილ საზოგადოებას შენი ბრალდების ეს მუხლი. თუ მე ვაღიარებ დემონურობას, მაშასადამე ვაღიარებ თვით დემონსაც ასეა არა? რა თქმა უნდა არა. ხომ გაგიგონია, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია. კი მაგრამ დემონებს ღმერთებად და ღმერთების ნაშიერებს არა ვთვლით ჩვენ ? ვთვლით თუ არა?

–ცხადია ვთვლით.

---- თუ მე ვაღიარებ დემონებს, რასაც არც თავად უარყოფ, და თუ დემონები იგივე ღმერთებია, მაშასადამე მართალი მითქვამს: შენ ხუმრობ და გამოცანას გვთავაზობ, ვინაიდან ამტკიცებ, რომ მე უარვყოფ ღმერთებს და იმავდროულად

ვალიარებ მათ, რაკილა ვალიარებ დემონებს. მეორეს მხრივ თუ დემონები არიან ღმერთების უკანონო შვილები, სულერთია, ვინც უნდა იყვნენ მათი დედები-ნიმფები, როგორც ამბობენ მოკვდავი ქალები.–მითხარი, ვინ გეგულება, რომ აღიაროს ღმერთების ნაშიერნი და არ აღიაროს თვითონ ღმერთები? აბსურდი იქნებოდა აგრეთვე დაიჯერო, რომ არსებობენ ჯორები- ცხენებისა და ვირების ნაშიერნი, და მეორს მხრივ უარყონ ცხენებისა და ვირების არსებობა. მელეტოს, შეუძლებელია, რომ ჩვენს გამოსაცდელად არ შეგეთხზა ეს ბრალდება, ან არა და ალბათ არ იცოდი, მაგრამ შენ ვერასოდეს ვერ დაარწმუნებ ვერავის, რომ ერთი და იგივე კაცი აღიარებს ღვთაებებისა და დემონების არსებობას,- მერწმუნე, მხოლოდ და მხოლოდ თავს იტყუებ.

XVI.--- სიმართლე რომ მოგახსენოთ ,ათენელებო, მე რომ უდანაშაულო ვარ იმაში, რაშიც ბრალს მდებს მელეტოსი, ჩემის აზრით, მტკიცებას და დასაბუთებას აღარ საჭიროებს, რაც მე ვთქვი საკმარისია. ის რაც ითქვა, ხოლო ის, რომ როგორც ადრე მოგახსენეთ, ბევრ თქვენგანს ვძულვარ უმძაფრესი სიძულვილით ითქვა ჩემს მიმართ, მერწმუნეთ, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მე დამღუპავს მელეტოსი და ანიტოსი კი არა, არამედ ბრბოს სიძულვილი, რამაც უკვე დაღუპა არა ერთი და ორი ადამიანი და ჩემი აზრით, კვლავაც დაღუპავს, ვინაიდან არანარი საფუძველი არ მაქვს ვიფიქრო, რომ მაინცდამაინც მე ვიქნები უკანასნელი. იქნებ, რომელიმე თქვენთაგანმა მკითხოს: " როგორ არ გრცხვენია სოკრატე, რამ გაიძულა იმ საქმეში გარევა სიკვდილს რომ გიქადის დღეს?" მართალი ვიქნები, თუ ამ კითხვას პასუხად ასე მივუგებ: " შენ არ ხარ მართალი ჩემო მეგობარო, თუ გგონია, რომ კაცი მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის საფრთხეს უნდა უწევდეს

ანგარიშს და არა იმას, თუ როგორ იქცევა-სამართლიანად, როგორც შეშვენის კეთილს თუ უსამართლოს, როგორც შეჰფერის უკეთურს. შენის აზრით სულმოკლე ყოფილა ტროასთან დაცემული ყველა ნახევარღმერთი და მათ შორის თეტიდას ვაჟიც, რომელსაც ისე ეშინოდა სახელის გატეხვის, რომ არაფრად ჩააგდო სიკვდილის საფრთხე და როცა ქალღმერთმა დედამ, რომელმაც გაიგო, ჰექტორის მოკვლას აპირებსო, თუ არ ვცდები. ამ სიტყვებით გააფრთხილა":

" ჩემო ვაჟკაცო, თუ შურს იძიებ შენი მეგობრის პატროქეს სიკვდილის გამო და მოკლავ ჰექტორს, შენც მოკვდები: " პრიამოსის ძის სიკვდილის შემდეგ აღარც შენ გიწერია დიდი დღე"-მან გულმშვიდად მოისმინა დედის სიტყვები. არ შეუდრკა საფრთხეს და არ შეუშინდა სიკვდილს, ვინაიდან უფრო მეტად ეშინოდა მხდალის სახელი არ შერქმეოდა, თუ არ აიღებდა მეგობრის სისხლს: "დაე მოვკდე, ოღონდ სანაცვლოდ მიუზღა თავგასულს. ოღონდ არ დავრჩე აქ, ნამგალა ხომალდთა გვერდით, კაცთა სამასხარაოდ"! როგორ გგონია, განა მას ეშინოდა საფრთხის და სიკვდილის?!

XVII.--- დიახ, ასეა, ჭეშმარიტად ასეა, ათენელებო, ვისაც რა ადგილი უკავია მწყობრბში, სულერთია, იმიტომ, რომ თავისთვის ყველაზე უკეთესი და შესაფერისი ჰგონია იგი, თუ იმიტომ, რომ სწორედ ეს ადგილი მიუჩინა არქონტმა, ჩემის აზრით, იქვე დარჩეს და არად ჩააგდოს არც საფრთხე, არც განსაცდელი, არც სიკვდილის შიში, ერთი სიტყვით, არაფერი გარდა სირცხვილისა. ხოლო მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ არჩეულმა არქონტებმა მომიჩინეს მწყობრში ადგილი, რათა მათი წინამძღოლობით შევბმოდი მტერს, - ასე იყო პოტიდეასთან[11]. და ასე იყო ამფიპოლისთან. [12] ასე იყო დელიონთან[13]-

ათასგავარი განსაცდელისა და სიკვდილის საფრთხის მიუხედავად ისე, როგორც ბევრი თქვენთაგანი ვიდექი ჩემს ადგილას,-თავად განსაჯეთ, რას ემგვანებოდა ჩემი ქცევა ათენელებო, როცა თვით ღმერთმა ჩამაყენა მწყობრში და მიბრძანა, მისდიე ფილოსოფიას და გამოცადე როგორც შენი თავი ისე სხვებიცო,- ანაზდეულად შემაკრთობდა სიკვდილისა თუ სხვა რამის შიში და ლაჩრულად დავტოვებდი მწყობრს. ამ უღირსი საქციელისთვის ჩემთვის მართლაც უნდა გეჩიოლათ სასამართლოში და ბრალად დაგედოთ ის, რომ მე ანგარიშს არ ვუწევ მისნობის აზრს, უარვყოფ ღმერთებს, მეშინია სიკვდილის და თუმცა სიბრძნის არა მცხია რა, ბრძენკაცად მომაქვს თავი, რადგან სიკვდილის შიში, არსებითად სხვა არა არის რა, მოქალაქენო, გარდა იმისა, რომ ბრძენკაცად მოგქონდეს თავი და იჩემებდე იმის ცოდნას, რაც სინამდვილეში არ იცი. ვინ იცის რა არის სიკვდილი? იქნებ ეს უკეთესი სიკეთეა ადამიანისთვის, თუმცა მისი ეშინიათ ისე, რომ თითქოს დარწმუნებული არიან, რომ ეს ყველაზე დიდი უბედურებაა. სრულიად უვიცი და უმეცარი თუ დაიჯერებს იმის ცოდნას, რაც არ იცის. ეს კი მოქალაქენო, სწორედ იმით განვსხვავდები უმრავლესობისაგან და იმიტომ ვჩანვარ, თუკი ვინმეს თვალში მართლა ვჩანვარ, სხვებზე უფრო ბრძენი, რომ რაკი ჰადესზე ბევრი არა ვიცი რა, არც მგონია, თითქოს რაიმე ვიცი, ხოლო კანონის დარღვევა და შენზე უკეთესის(სულიერთა, ღმერთის თუ კაცის) უგულებელყოფა რომ სამარცხვინოა და საძრახისი, ამაში არასოდეს შემპარვია ეჭვი, ამიტომ არ შევუკრთები იმას, რაც შესაძლოა სიკეთეც იყოს ჩემთვის და არ შევუშინდები უფრო მეტად, ვიდრე იმას რასაც ჩემთვის აშკარა ბოროტებად ვთვლი.

ახლა კი, რომ ადგეთ და გამამართლოთ ისე

რომ ყური არ ათხოვოთ ანიტოსს, რომელიც გაპყვირის, რომ მე ან საერთოდ არ უნდა გამოვცხადებულიყავი სასამართლოში, ანდა რაკი გამოვცდადდი, დაუშვებელია ჩემი დაუსჯელად გაშვება და რომელიც ერთთავად იმას გიმტკიცებთ, რომ თუ გამამართლებთ, მაშინ თქვენი შვილები, სოკრატეს ფეხის ხმას აყოლილნი, შეიძლება საბოლოოდ წავიდნენ ხელიდან,- დიახ თუ ეს ნამდვილად დადასტურდებოდა თქვენ მე მეტყოდით: ''ჩვენ აღარ მოვუსმენთ ანიტოსს და ჩვენ შენ გაგამართლებთ იმ პირობით, თუ შენ დროს აღარ დაუთმობ სხვების გამოცდას და ხელს აიღებ ფილოსოფიაზე. თუ მაინც აგვიხირდები და შენსას არ დაიშლი სიკვდილი არ აგცდება. ამ პირობითაც, რომ გამამართლოთ, როგორც მე ვამბობდი, თქვენ გიპასუხებდით:

''ათენელებო, მიყვარხართ, მაგრამ ღმერთს დავემორჩილები მხოლოდ და არა თქვენ, სანამ სხეულში სული მიდგას, სანამ შემეძლება ფილოსოფიის ქადაგება და თქვენთვის გაკვეთილის მოცემა. შევეცდები იგივე შთავაგონო ყოველივე თქვენგანს, რასაც აქამდე შთავაგონებდი. შენ სანდომიანო ადამიანო, შენ ხარ ათენელი და მსოფლიოში ყველაზე დიდი ქალაქის მოქალაქე, ცნობილი სიბრძნითა და სიძლიერით, როგორ არ წითლდები, როცა მთელ დროს უთმობ ფულის მოგროვებას და ცდილობ რეპუტაციის ამაღლებას, მაშინ, როდესაც განუწყვეტლივ უნდა ცდილობდე შენი სულის გაკეთილშობილებას? და თუ ერთერთი თქვენთაგანი შემედავება და დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს ზრუნავს სულისათვის, იმწამსვე კი არ გავეცლები, არამედ კითხვას გავუმეორებ. მე მას გამოვცდი, საცერში გავატარებ და თუ მომეჩვენა, რომ ის არ ფლობს სათნოებას, რაც არ უნდა თქვას, მე მას შევარცხვენ. ასე მოვეექცევი ყველას, ვისაც მე შევხვდები მოხუცი იქ-

ნება თუ ახალგაზრდა, უცხოელი თუ ჩვენებური ადგილობრივ მოქალაქეს მით უმეტეს,-- თქვენ, ათენელებო, ვინაიდან ხართ ჩემი სისხლი და ხორცი, რადგან ეს არის ის, რასაც ღმერთი ბრძანებს და მე მგონია მთელ ქალაქში არ მოგეძებნებათ უფრო დიდი სიკეთე, ვიდრე ეს ჩემი სამსახურია ღმერთის წინაშე. მე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს, ვიარო ქუჩებში და დაგარწმუნოთ თქვენ, მოხუცებო და ახალგაზრდებო, რომ არ უნდა ისწრაფოდეთ სიმდიდრისაკენ, უნდა აძლიერებდეთ სულს. მე თქვენ გიმეორებთ, რომ სიმდიდრეს არ მოაქვს კეთილშობილება, მაგრამ კეთილშობილებიდან მოდის სიმდიდრე, რაც არის უპირველესი, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ ასეთი სიტყვებით ვრყვნი ახალგაზრდობას, რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ. ხოლო ვინც ამტკიცებს, თითქოს ამას კი არა, სხვა რამეს ვასწავლი ათენელ ჭაბუკებს, წყალს ნაყავს მხოლოდ. ამიტომ კვლავ გიმეორებთ, ასე გეტყოდით თქვენ: ''მიუხედავად იმისა, ეთანხმებით თუ არა ანიტოსს, მიუხედავად იმისა, გამამართლებთ თუ არა, მე ჩემსას არ მოვიშლი ათენელებო, ერთხელ კი არა, ათასჯერაც რომ მომაკვდინოთ.''

XVIII.-- ნუ ყაყანებთ ათენელებო, შემისრულეთ ეს სათხოვარი, კი ნუ ყაყანებთ ჩემს ყოველ სიტყვაზე, არამედ ყურადღებით მომისმინეთ, რადგან კიდევ მაქვს თქვენთვის სათქმელი, რომლის გამოც კიდევ აყაყანდებით, მომისმინეთ, გთხოვთ!

დარწმუნებული იყავით, რომ თუ თქვენ მომკლავთ ისეთს როგორიც მე ვარ, ვერ მომაყენებთ დიდ ზიანს, ეს თქვენს თავებს მიაყენებთ ზიანს, რადგან ვერც მელეტონი და ვერც ანიტონი ვერ მომაყენებს ზიანს. როგორ შეძლებენ ისინი ამის გაკეთებას, როდესაც შეუძლებელია ბოროტმა ავნოს კეთილს.მათ მხოლოდ შეუძლიათ სიკვდილით დამსაჯონ, გამაგდონ ქვეყნიდან ან სამოქალაქო უფლება ჩამომართვან, ეს არის ის, რაც მხოლოდ მათ შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ მე ამგვარად არ ვფიქრობ: მიმაჩნია, რომ ის უფრო დიდი უბედურებაა, როდესაც ისინი უდანაშაულო ადამიანს ანადგურებენ. ათენელებო საკუთარი თავის სიყვარულის გამო არ ვიცავ თავს, როგორც თქვენ გგონიათ, ეს უფრო მეტია, ვინაიდან თქვენ გიცავთ, რადგან ვშიშობ, თუკი სიკვდილით დამსჯით, არ დაკარგოთ უფლის მიერ ბოძებული ღვთიური ნიჭი, თუ მომკლავთ, სადღა ჰპოვებთ ჩემნაირ კაცს, რომელიც-სასაცილოა-, ღმერთმანი,-თვითონ უფალმა მიუჩინა ჩვენს ქალაქს, როგორც ძლიერსა და კეთილშობილს, მაგრამ მეტისმეტი სიმსუქნისაგან გაზარმაცებულსა და გაზუსტებულ ცხენს, რომელსაც უჭირს განძრევა, თუ აბეზარი კრაზანა, თავისი ბასრი ნესტრით, როგორც წვეტიანი დეზებით, არ უწყავს. მთელი დღე რომ მუხლჩაუხრელად ვიარო კარდაკარ, გამოგაფხიზლოთ, მოსვენება არ მოგცეთ, ვედრებით აგავსოთ, სხვა ჩემისთანას ასე ადვილად ვეღარ იპოვით! ათენელებო, თუ დამერწმუნებით შეგიძლიათ შემინარჩუნოთ, თუმცა ადვილი შესაძლებელია,ისიც მოხდეს, რომ ერწმუნოთ ანიტოსს, გაგულისდეთ და როგორც ძალით გამოლვიძებულმა კაცმა-აბეზარი მწერი, ხელის ერთი მოსმით გაანადგუროს. მაშინ კი მოგიწევთ მთელი თქვენი ცხოვრება თვლემაში გაატაროთ, თუ ღმერთმა მოწყალე თვალით არ გადმოგხედათ და არ გამოგიგზავნათ ჩემნაირი. მე მართლა ისეთი ვარ, როგორც ღმერთმა წარმომგზავნა ამ ქალაქში. აი, ამის უტყუარი საბუთი :მითხარით, სად გინახავთ ან გაგიგონიათ, რომ კაცმა ხელი აიღოს თავის თავზე, ამდენი წელი გაჭირვებაში ამოხადოს სული საკუთარ ოჯახს და მხოლოდ თქვენი საქმე

აკეთოს, თავისებურად მიუდგეს თითოეულ თქვენგანს, როგორც უფროსი ძმა ან მამა და სიქველისათვის აუცილებელი ზრუნვა შთააგონოს. მე რომ რაიმე გამორჩენა მქონდეს ან სნავლის საფასურს მოვითხოვდე, კიდევ ჰო, კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ანგარების კარნახით ვიქცევი ასე, მაგრამ ხომ თქვენი თვალით ხედავთ, ჩემს ბრალმდებლებს, რომლებიც ყველაფერში ასე ურცხვად მდებენ ბრალს, აქ უკვე აღარ ეყოთ უტიფრობა და ვერცერთი მოწმე ვერ დაასახელეს იმის დასადასტურებლად, თითქოს ოდესმე ამეღოს, ან თუნდაც ვინმესთვის მომეთხოვოს სწავლის საფასური. მე კი, მათგან განსხვავებით, შემიძლია ჩემი სიმართლის სავსებით დასადასტურებლად სანდო მოწმე დაგისახელოთ

--ჩემივე სილატაკე!

XIX---შესაძლებელია, უცნაურად ჩანდეს, რომ დავდივარ ქუჩებში, რჩევებს ვაძლევ ცალკეულ პირებს, ვერევი სხვის საქმეებში, მაგრამ ყრილობაზე საჯაროდ გამოსვლას და ქალაქისათვის რჩევის მიცემას კი თავს ვარიდებ. ამის მიზეზი მრავალჯერ და არაერთგან გსმენიათ ჩემზე, მე ვგრძნობ ჩემში რაღაც ღვთაებრივს თუ დემონურს, რასაც მელეტონმა ასე მწარედ დასცინა თავის ბრალდებაში. ეს ყველაფერი ჩემში ბავშობიდან დაიწყო, რაღაც იდუმალი ხმა მარიგებს რისი გაკეთებაც მინდა, წაქეზებით კი არასოდეს არ მაქეზებს. აი, სწორედ ეს ხმა მეწინააღმდეგება, რომ ჩავერთო პოლიტიკაში, საზოგადო საქმეებში და ვფიქრობ კარგს აკეთებს, რომ მიკრძალავს, რადგან იცოდეთ ათენელებო, რომ ჩავრეულიყავი სახალხო საქმეებში დიდი ხანია ამ ქვეყნად ჩემი სახსენებელიც აღარ იქნებოდა. ტყუილუბრალოდ დავიღუპებოდი ისე, რომ ვერც თავს ვარგებდი რამეს და ვერც ქალაქს. არ გამინაწყენდეთ თუ თქვენ სიმართლეს გეუბნებით:

ჯერ კიდევ არ დაბადებულა ისეთი კაცი ამ უკულმართ ქვეყანაში, ამდენი უსამართლობის აღმოფხვრისა თუ უკანონობის აღკვეთის მიზნით აშკარად რომ დაგიპირისპირდეთ თქვენ ან რომელიმე სხვა უმრავლესობას და ცოცხალი დარჩეს, არა და არა!!! ვინც მართლა სამართლიანობისთვის იბრძვის, თუ სურს ცოტა ხანს მაინც გაუძლოს მტერს, ბოლომდე კერძო პირად უნდა დარჩეს. საზოგადოებრივი ასპარეზი მისი სარბიელი არ არის. ამის დასტურად მე წარმოგიდგენთ უტყუარ საბუთს, არა მაღალფარდოვან სიტყვას, არამედ იმას, რასაც ყველაზე მეტად აფასებთ საქმეს! მაშ ისმინეთ რა შემემთხვა ერთხელ და დარწმუნდებით, რომ სიკვდილის შიშმაც ვერ მაიძულა ვისიმე საამებლად მელალატა სამართლიანობისათვის, რამაც კინაღამ თავი წამაგებინა.

XX-- რასაც ახლა გიამბობთ, მოსაწყენია და მძიმე მოსასმენი. სამაგიეროდ სრული ჭეშმარიტება გახლავთ, ათენელებო! არასოდეს არ მჭერია ქალაქში რაიმე თანამდებობა,მაგრამ სათათბიროს წევრი კი ვიყავი. ჩვენი, ეს იგი, ანტიოქიის ფილეს პრიტანობის[14] ჯერმა სწორედ იმ დროს მოანია, როცა ვაპირებდით ერთად დაგვესაჯა ათი სტრატეგი[15]. რომლებმაც ვერ შეძლეს საზღვაო ბრძოლაში დალუპული გვამები მოეკრიფათ, მაგრამ ეს იყო უკანონო გადაწყვეტილება როგორც შემდგომ ყველამ ერთხმად აღიარა. პრიტანებს შორის ვიყავი ერთადერთი, რომელმაც არ დაეუშვი კანონის დარღვევა, რის გამოც ორატორებმა ღალატში დამდეს ბრალი და ჩემი დაპატიმრება მოითხოვეს. სხვათაშორის , თქვენ მაშინაც ასე ყვიროდით და მოითხოვდით ჩემს დასჯას. მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ განსაცდელის მიუხედავად, დამეცვა კანონი, ვიდრე ის, რომ დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მხარი ამება თქვენთვის. ეს ყველაფერი

ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, როცა ქვეყანას მართავდა ხალხი, მაგრამ როცა ოლიგარქიის დრო დადგა, ოცდაათმა ტირანმა, თავის მხრივ ტოლოსში[16] დამიბარა ოთხ სხვა მოქალაქესთან ერთად და მიბრძანა მეხუთე ლეონ სალამინელი17 ჩამომეყვანა სალამიდან, ვინაიდან მისი სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ისინი ხშირად იძლეოდნენ ამგვარ ბრძანებებს, რადგან ტირანიას სურდა ამ გზით გაეზარდა დამნაშავეთა რიცხვი. მე ამჯერად სიტყვით კი არა, საქმით დავამტკიცე, რომ სიკვდილის არ მეშინია, მიუხედავად სასტიკი და ძლიერი მმართველობისა ვერ შემაშინა, რომ ჩამედინა უსამართლობა. ტოლოსიდან რომ გამოვედით, ოთხივე ჩემი თანამზრახველი გაემგზავრა სალამისკენ რათა მოეყვანათ ლეონი და მე კი დავბრუნდი სახლში. ალბათ სიკვდილით დამსჯიდნენ ამ ურჩობისთვის, მაგრამ ტირანია მალე დაემხო. მრავალი თქვენთაგანია ყოველივე ამის მოწმე.

XXI.–იქნებ გგონიათ ამდენ ხანს გავძლებდი სახელმწიფო სამსახური რომ მეტვირთა და თანაც ისე მეტვირთა, როგორც შეშვენის წესიერ კაცს. მე ყოველთვის სიმართლის მცველი ვიყავი და ვაკეთებდი იმას, რაც უნდა გაკეთებულიყო. ათენელებო, ამ ყველაფერს ბევრი შრომა სჭირდება და არც ერთი თქვენთაგანი ამას ვერ გააკეთებდა ისე, როგორც მე. ჩემი მთელი ცხოვრების განმავლობაში ისინი მიცნობდნენ, რომ მე ვიყავი ისეთივე ადამიანი, როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე სახელმწიფო სამსახურებში არასოდეს არავისთვის უკანონობისკენ არ მიბიძგია, არც იმათთვის, ვისაც ჩემი მოწაფეები უწოდეს ჩემმა ბრალმდებლებმა და არც სხვა ვინმესათვის.

მე არასდროს ვყოფილვარ ვინმეს მასწავლებელი, მაგრამ თუ ვინმეს აქვს სურვილი მომისმინოს როცა ვლაპარაკობ და ვასრულებ ჩემს მისიას მოხუცი იქნება თუ ახალგაზრდა, არავისთვის ეს

უფლება არ წამირთმევია. ვერაკინ ვერ იტყვის, რომ მხოლოდ ფულის გულისთვის ვსაუბრობ და უფულოდ არასდროს მისაუბრია. ყველას, მდიდარსა თუ ღარიბს უფლება აქვს დამისვას კითხვები. და თუ კიდევ ამის გამო ვიღაც უკეთესი ხდება ან უარესი, არ ვარ პასუხისმგებელი, ვინაიდან არავისთვის არ მითქვამს-გასწავლით მეთქი და არც არასოდეს მისწავლებია. ხოლო თუ ვინმე ამტკიცებს, რომ თითქოს ოდესმე კერძოდ უსწავლია ჩემთან, ანდა ჩემგან მოუსმენია ისეთი რამ, რაც არასოდეს სმენიათ სხვებს, დარწმუნებული ვარ, რომ ის ცრუობს.

XXII.---მაგრამ, რატომაა ზოგიერთი მსმენელი დიდი სიამოვნებით მთელი საათის განმავლობაში რჩება ჩემთან ერთად. მე თქვენ აგიხსენით ათენელებო, რომ ყველაფერს სიმართლეს გეუბნებით: ისინი ვინც მე სიამოვნებით მისმენენ და უნდა გამოსცადო ისინი, რომლებსაც თავიანთი თავი წარმოუდგენიათ ჭკვიანად, მაგრამ არ არიან ჭკვიანები, ყოველივე ამას თვითონ ღმერთი მიბრძანებს მე. თქვენ გიმეორებთ, რომ ღმერთმა მომანიჭა ეს მისია, მისნის პირით, სიზმარეული ჩვენებით. ერთი სიტყვით, იმ ყველა საშუალებებით, მხოლოდ ღმერთს შეუძლია გამოიყენოს ადამიანი მისიის შესასრულებლად.

და თუ მართლა მე ვაცდენ ახალგაზრდებს, მე თუ ისინი ადრე შევაცდინე და მათ მივეცი ცუდი რჩევები, ახალგაზრდა რიგებიდან დღეს აუცილებლად წარსდგებოდნენ სასამართლოს წინაშე ჩემს დასასჯელად და თუ მათ ამის სურვილი არ ექნებოდათ მათი ოჯახის წევრები ძმა, მამა ან და კიდევ სხვა ნათესავები აუცილებლად შურს იძიებნენ. ყველა შემთხვევაში მრავალი მათგანი დღეს აქ იმყოფება. მე მათ ვხედავ: აი, უწინარეს ყოვლისა, კრიტონი[18].

ჩემი თანატოლი და თანადემოსელი, კრიტობუ-

ლეს მამა აქვეა ლისია სფეტიელი, თქვენს შორის მყოფი ესქინეს[19] მამა; აი, ანტიფონ კეფისელი, ეპიგენეს[20] მამა, აგერ ისიც, ვიცი ძმებიც ერთთავად ჩემთან იყვნენ,- ნიკოსტრატე, თეოდოძიდეს ძე და თეოდოტეს[21] ძმა, თვით თეოდოტე ცოცხალი აღარ არის, ასე რომ, ვერაფერს დაუშლიდა ძმას! აი პარალე დემოტოკეს ძე, რომელსაც თეადე[22] ძმად ერგებოდა. აგერ ადიმანტეც[23] არისტონის ძე, ამ ჩვენი პლატონის ძმა აქვე ვხედავ აინტოდორეს, აპოლოდორეს[24] ძმას. სხვა ბევრი შემიძლია კიდევ დაგისახელოთ და მელეტოსს თავის სიტყვაში, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ერთ-ერთი მათგანი უნდა მოეხმო მოწმედ. თუ დაავიწყდა, მაშინ ახლა გაიხსენოს, მე ნებას ვრთავ მოწმედ მოიხმოს, რომელიც ნებავს და უთხრას რაც სურს, თუკი რაიმე აქვს სათქმელი,მაგრამ თქვენ სულ სხვა სურათი გადაგეშალათ თვალწინ ათენელებო! თქვენ ნახავთ, რომ მე-მათ გამრყვნელს-ყველა ერთხმად დამიჭერს მხარს. მე, ვინც ესოდენ დამნაშავე ვარ მათი ახლობლების წინაშე, როგორც ამტკიცებენ მელეტოსი და ანიტოსი. თუ მიკერძოებით განვსჯით, კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოს ჩემს მიერ გარყვნილნი გარკვეული მიზნით გამოვლენ ჩემს დასაცავად, მაგრამ რა სჯით, რა აიძულებს მათ ნათესავებს, გაურყვნელსა და უკვე ხანში შესულ ხალხს, ერთხმად დამიჭირონ მხარი, თუკი გულწრფელად არ სჯერათ, რომ მელეტოსი ტყუის, ხოლო მე მართალს ვამბობ,მაგრამ კმარა, მოქალაქნო, აი ყველაფერი რითაც ასე თუ ისე შემიძლია ვიმართლო თავი.

XXIII ამგვარად, საკმარისია არგუმენტები მოსამართლეებო! რომელიც მე მოვიყვანე ჩემს დასაცავად ნელ-ნელა მცირდება, მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი, თქვენს შორის იყოს ვინმე ისეთი, რომელსაც ეხსომება ისეთი პროცესი, როდესაც ცრემლების ფრქვევით სთხოვდა შეწყალებას მოსამართლეებს და მათი გულის მოსალბობად მოყავდა თავისი შვილები, ოჯახის წევრები, ახლობლები.- მე კი არაფერს მსგავსს არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქმე, როგორც ვატყობ უკუღმა შეტრიალდა. დიახ, შეიძლება ვინმემ გაიხსენოს ეს და განრისხებულმა და ღირსებაშელახულმა იმით იყაროს ჯავრი, რომ კენჭისყრისას ჩემს წინააღმდეგ მისცეს ხმა. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ თუ ზოგი თქვენგანი მართლა ასეა განწყობილი, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ამ სიტყვებით მივმართავ მას: ''არც მე ვარ უთვისტომო და სახლ-კარ გადაშენებული, ჩემი ძვირფასო. მყავს მშობლები, როგორც ამბობს ჰომერი, არ დავბადებულვარ არც მუხისგან და არც კედლისგან.[25] მეც ადამიანის შვილი ვარ. მყავს მშობლები და სამი შვილი, ათენელებო! ერთ-ერთი უკვე მოზარდია[26], დანარჩენი ორი კი პატარა. – მაგრამ არცერთს არ მოვიყვან აქ, თქვენს წინაშე და არ გთხოვთ შეწყალებას''.

მაგრამ რატომ არ ვიზამ ამას ? არა ქედმაღლობის, არა თქვენს მიმართ ზიზღის გამო, ათენელებო. მოდით, ნუ გამოვეკიდებით ამას მეშინია თუ არა სიკვდილის, მაგრამ მე მგონია ჩემი ისევე როგორც თქვენი და მთელი ქალაქის ღირსებისათვის სამარცხვინო იქნებოდა ჩემისთანა ცნობილ კაცს- დიახ! ჩემი ასაკისა და ჩემისთანა ცნობის კაცს რომ ჩამედინა რაიმე უღირსი საქციელი. ხომ ყველას ჰგონია, რომ სოკრატე განსხვავდება უმრავლესობისაგან და განა სამარცხვინო არ იქნება ასე რომ მოიქცეს ყველა, ვინც სიბრძნით სიმამაცით ან სხვა რაიმე სიქველით გამოირჩევა თქვენს შორის? მე არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, როგორ წამსდგარა სასამართლოს წინაშე ბევრი, ვითომ პატიოსანი და ყველას მიერ პატივცემული კაცი, თითქოს რაღაც არნახული საშინელება უნდა ჩაედინათ, თუკი სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდით და უკვდავნი გახდებოდნენ, თუკი სიკვდილით

არ დასჯით. ჩემი აზრით, ასეთი ხალხი არცხვენს ჩვენს ქალაქს და მათი შემხედვარე, უცხოელმა შეიძლება იფიქროს რომ ათენში თავიანთი სიქველით სახელგანთქმული კაცნი, რომლებსაც სახელმწიფო თუ სხვა საპატიო თანამდებობაზე დანიშვნისას თვით ათენელები ანიჭებენ უპირატესობას, არაფრით არ განსხვავდებიან დიაცთაგან. ათენელებო, მიუხედავად ამისა, მართლა ღირსეულნი ხართ თუ მხოლოდ სხვებს აჩვენებთ თავს ღირსეულად, არამც თუ არ უნდა ჩაიდინოთ, არამედ არც დაუშვათ ასეთი რამ, პირიქით, თქვენი ვალია მაგალითი მისცეთ ყველას და უჩვენოთ, რომ უმალ დასჯით იმას, ვინც ამ ცრემლიან წარმოდგენებს მართავს და ამრიგად, არცხვენს ჩვენს ქალაქს, არა იმას იმას, ვისაც ღირსეულად უჭირავს თავი.

XXIV- ღირსებაზე რომ არაფერი ვთქვათ მოქალაქენო, არც ის მგონია მართებული, რომ თხოვნით მოაბეზრო თავი მსაჯულებს და ვედრებით გამოსძალო შეწყალება, ნაცვლად იმისა, რომ დაწვრილებით აუხსნა საქმის ვითარება და შენს სიმართლეში დაარწმუნო ისინი, რადგან მოსამართლეები არ არიან იმისათვის, რომ ვინმეს სასარგებლოდ გადაწყვიტონ რაიმე, არამედ მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ისინი მოქმედებენ კანონით და არა იმით, რომ ვინმე მიაჩნიათ კარგ ადამიანად. ამიტომ არც ჩვენ უნდა მივაჩვიოთ ფიცის გატეხვას და არც თქვენ უნდა მიეჩვიოთ ამას, ვინაიდან ორივე მხარეს მკრეხელობაში ჩამოგვერთმევა ეს. ნუ ელით ათენელებო, რომ თქვენს წინაშე გავაკეთებ იმას, რაც უკეთურობად, უსამართლობად და ღვთის მგმობელად მიმაჩნია, მითუმეტეს, ვფიცავ ზევსს, ახლა როცა მელეტონი მკრეხელობას მაბრალებს. ცხადია, მე რომ თხოვნით გამომეძალა შეწყალება და იძულებით გამეტეხინებინა თქვენთვის ფიცი, სხვას რას შთაგაგონებდით ან გაფიქრებინებდით, თუ არა იმას,

რომ ღმერთები არ არსებობენ და ნაცვლად იმისა, რომ თავი მემართლა, თვითონვე გამოვიდოდი საკუთარი თავის ბრალმდებლად და თვალნათლივ გიჩვენებდით, რომ ღმერთები არა მწამს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა საქმე, ღმერთებს მე უფრო ვცემ თაყვანს, ათენელებო, ვიდრე რომელიც გნებავთ ჩემი ბრალმდებელი და ამიტომ სწორედ ღმერთს და თქვენ განდობთ, ისე განსაჯოთ, როგორც თავად მიიჩნევთ სწორედ, უკეთესად, როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც.

მეორე ნაწილი

სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შემდეგ, სოკრატეს მოუწოდეს გამოეტანა თავისი განაჩენი, მან კი მოითხოვა საჭმელი მიეტანათ პრიტანეტში.

XXV. – ათენელებო! არ ავღელდი იმ განაჩენის გამო, რომელიც თქვენ გამომიტანეთ რადგან ბევრი მიზეზი მქონდა.[27]

მართალი გითხრათ, ეს მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის, პირიქით, მე გაცილებით უფრო გამაკვირვა ურთიერთსაპირისპირო ხმების რაოდენობამ. არ მეგონა, რომ მათ შორის ასეთი უმნიშვნელო განსხვავება იქნებოდა, საკმარისი იქნებოდა სულ რაღაც ოცდაათი კენჭი აქეთ ჩაგეგდოთ, რომ სამართლის სასწორი ჩემსკენ გადმოხრილიყო[28] ამ პირობებში, ვფიქრობ შევძლებდი მელეტონისგან თავის დაღწევას, ანიტოსს და ლიკონს რომ თავიანთი ბრალდებებით არ დაეჭირათ მხარი მისთვის, იძულებული იქნებოდა გადაეხადა დამატებით 1000 დრახმა, ვინაიდან საჭირო ხმების მეხუთედიც ვერ მოაგროვა.

XXVI – მაშ ასე, ეს კაცი ითხოვს ჩემს სიკვდილს, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მე რაღას მივუსჯი, ათენელებო საკუთარ თავს? ალბათ იმას, რისი ღირსიც ვარ. მერედა რისი ღირსი ვარ

მაინც? რას ვიმსახურებ ან რა სახის ჯარიმა უნდა გადავიხადო იმის ნაცვლად, რომ მეცხოვრა წყნარად, ბევრი რამე ხელიდან გავუშვი, ყოველივე იმას, რასაც ასე ელოლიავება უმრავლესობა. ქონება, პირადული ინტერესები, ოჯახის კეთილდღეობა, მხედართმთავრობა, პოლიტიკური კარიერა, ბელადობა, ძალაუფლება და ყველა იმ შეთქმულებასა და ამბოხებაში მონაწილეობა. ვინაიდან მეტისმეტად წესიერ კაცად მიმაჩნდა თავი და იმედი არ მქონდა, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი, თუ ყველაფვრ ამას ვიტვირთებდი, რითაც ვერც თქვენ გარგებდით რამეს და ვერც საკუთარ თავს და ყოველთვის ვილტვოდი იქით, სადაც განზე გამდგარსა და განკერძოებულს შემეძლო, როგორც მოგახსენებთ, უდიდესი სიკეთე გამენია თითოეული თქვენთაგანისათვის და ცალ-ცალკე ჩამეგონებინა ყველასათვის-უწინარეს ყოვლისა თქვენს საქმეებზე კი არა, საკუთარ თავზე იზრუნეთ,რათა შეძლებისამებრ, უფრო სრულყოფილნი გახდეთ-მეთქი და ზუსტად ასევე ქალაქის საქმეზე კი არა, თქვენთვის თვით ქალაქზე მერჩია ზრუნვა. დიახ, რას ვიმსახურებ ყოველივე ამის სანაცვლოდ? საზღაურს ათენელებო და თანაც ისეთ საზღაურს, რაც საჭირო ა ჩემთვის, მაგრამ რა სჭირდება ჩემნაირ კეთილშობილ ადამიანს, რომლისთვისაც აუცილებელია მოძალეობა თქვენს დასამოძღვრად? ჩემნაირი კაცისათვის მისწრება იქნებოდა ყოველდღიური სადილი პრიტანეტში, ის ამას უფრო იმსახურებს, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებში ცხენოსანთა მარულასა თუ ორ ან ოთხცხენიან ეტლთა შეჯიბრში გამარჯვებისთვის ბრძოლას. ის მხოლოდ მოჩვენებით ბედნიერებას განიჭებთ თქვენ, მე კი- ჭეშმარიტს. მე კი მჭირდება, რომ სათანადოდ განსაჯოთ ჩემი დამსახურება და მხოლოდ ერთ რამეს მივუსჯიდი თავს, ყოველდღიურ სადილს პრიტანეთში.

XXVII--- იქნებ ეს ჩემი სიტყვები ისეთივე ქედმაღლურად მოგეჩვენოთ,როგორც ჩემი მსჯელობა ცრემლების ფრქვევისა და ვედრების. არა ათენელებო, ამგვარი მიზნები არანაირად არ მაქვს და აი რას ვფიქრობ, მჯერა რომ არავის შეურაცხვყოფ შეგნებულად, მაგრამ ამის დამტკიცება არ შემიძლია, ვინაიდან სასაუბროდ ცოტა დრო დამრჩა და მაინც ვფიქრობ შევძლებდი თქვენს დარწმუნებას, თქვენი კანონი სხვებისას რომ ჰგავდეს და სისხლის სამართლის საქმის გარჩევას ერთს კი არა, რამდენიმე დღეს ანდომებთ. ახლა კი დროის სიმცირის გამო შეუძლებელია საშინელი ცილისწამების უარყოფა, თუმცა რაკი მწამს, რომ სხვებს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, სულაც არ მსურს შეურაცვჰყო თავი, დავიბრალო რალააცეები და ჩემს თავს გამოვუტანო განაჩენი. რატომ და რისთვის? თუ ამის ნაცვლად სხვა რამეს ავირჩევ სასჯელად და თავს გავწირავ უეჭველად ბოროტებისთვის? მერედა მაინც რას ავირჩევ, საპყრობილეს? რატომ უნდა ვიცხოვრო ციხეში ყოველ წელს ხელახლა არჩეული თერთმეტი მბრძანებლის მონად სულ ვიქნები თვალთავლის ქვეშ. ფულადი ჯარიმა თუ ვერ გადავიხადე ვერ გამოვალ ციხიდან?! ეს ჩემთვის იგივე სამუდამო პატიმრობას ნიშვანს, ვინაიდან ჯარიმის გადასახდელი ფული ვინ მომაშავა?! მას კი ალბათ სიამოვნებით მომისჯიდით, მაგრამ რა გამწარებით უნდა ვებღაუჭებოდე სიცოცხლეს, ათენელებო, რომ ისე წავხდე უბრალო რამ ვერ მოვისაზრო. თუ თქვენ, ჩემმა თანამოქალაქეებმა ვერ აიტანეთ ჩემი საუბრები, ჩემი შეხედულებები და მიიჩნიეთ ეს ყველაფერი მიუღებლად და ცდილობთ, რომ სამუდამოდ ჩამაკმენდინოთ ხმა, როგორლა ამიტანენ უცხოელები. ჩემს ყოფნას რა აზრი აქვს, თუ გამაძევებენ და ქალაქ-ქალაქ დავიწყებ წანწალს, რადგან დარწმინებული ვარ, რომ სადაც არ უნდა წავიდე ყველგან მოვლენ ახალგაზ-

რდები ჩემს მოსასმენად, როგორც აქ ! რა ვქნა, გავყარო ისინი?-უფროსებს დაუჯერებენ და თვითონვე განმდევნიან, არ გავყარო და მაშინ უფროსები განმდევნიან მათი გულისთვის.

XXVIII---შეიძლება მითხრან, რაო სოკრატე, თუ გაჩუმდები და იქნები კუთხეში აღარ იცხოვრებ გადასახლებაში? და სწორედ ეს არის ყველზე ძნელი, რომ ზოგიერთი თქვენგანი დაარწმუნო, რას ნიშნავს ურჩობა ღმერთის წინაშე. ხოლო ურჩი ვერასოდეს ეზიარება სიმშვიდეს-თქვენ არ დამიჯერებთ და იტყვით, რომ მე ვპირფერობ. მეორეს მხრივ თუ გეტყვით, რომ კაცისთვის უდიდესი სიკეთეა საუბარი სიქველისა და ყოველივე იმის შესახებ, რაზედაც ყოველდღე გესაუბრებით და ამრიგად ვცდი ჩემს თავსაც და სხვებსაც, ხოლო ამ გამოცდის გარეშე სიცოცხლეს სიცოცხე არ ჰქვია!

ამ ყველა მიზეზს ემატება ისიც, რომ არ ვარ მიჩვეული ჩემი თავისთვის განაჩენის გამოტანას და რომ მქონოდა ფული, ჩემს თავს ჯარიმას დავაკისრებდი, მაგრამ ვაი რომ ფული არა მაქვს, თუკი რა თქმა უნდა, იმდენს არ გადამახდევინებდით, რამდენის გადახდაც შემიძლია. შეძლებით კი ძალიან ცოტა შემიძლია,სულ დიდი ერთი ვერცხლის მნა?[29]

სწორედ ამას ვუსვჯი ჩემს თავს,თუმცა აგერ ათენელებო, ჩვენი პლატონი, კრიტონი, კრიტობულე და აპოლოდრე მთხოვენ-ოცდაათი მნა თქვიო და თვითონვე მიდგებიან თავდებად. კეთილი, იყოს ოცდაათი მნა, ჩემი თავდებნი ღირსეული ხალხია მოქალაქენო!

მესამე ნაწილი

სოკრატეს მისასალმებელი სიტყვა
მოსამართლეების მიმართ

XXIX----ახლა როცა დამიტოვეთ სიცოცხლის ორი დღე ათენელებო, სახელი გაგიტყდებათ და ჩვენი ქალაქის მტრები და ავისმდომელნი ბრალად დაგდებენ იმას, რომ სიცოცხლე მოუსწრაფეთ სოკრატეს-ბრძენკაცს დიახ, ავისმდომელნი ერთხმად დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ მე ბრძენი ვარ, თუმცა ეს სიმართლეს არ შეეფერება. ცოტა ხანი რომ მოგეცადათ, სიკვდილი თავად მომიკაკუნებდა კარზე. ხომ ხედავთ რა ხნისა ვარ, მე ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე გავიარე, ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას და ვიტყოდი ეს ყველას არ გეხებათ, მხოლოდ მათ, ვინც სიკვდილი მომისაჯა.

მათთვის ჯერ კიდევ მაქვს რაღაც სათქმელი. ხომ არ გგონიათ, ათენელებო, თითქოს იმიტომ დავისაჯე, რომ სიტყვები არ მეყო ,რომლებითაც შევძლებდი თქვენს მოლბობას და ჩემს მხარეზე გადმობირებას, თუკი საჭიროდ მივიჩნევდი, არაფრის წინაშე არ დავიხევდი უკან, რომ თავიდან ამეცილებინა ეს განაჩენი. არ დაიჯეროთ მოქალაქენო, მე ბევრი რამ არ მეყო მართლაც, მაგრამ არა სიტყვები, არამედ თავხედობა, უტიფრობა და იმის თქმის სურვილი, რაც ასე საამოდ ესალმუნება თქვენს სმენას. არ ვიკადრე ცრემლის ღვრა, მწუხარება, მოთქმა-გოდება,ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც ასე შეგაჩვიათ სხვებმა, მაგრამ კვლავ ვიმეორებ, არ შემშვენის მე. დიახ, მაშინაც როცა საფრთხე მემუქრებოდა, ულირსად მივიჩნიე მონური ქცევა და არც ეხლა ვნანობ, რომ ასე დავიცავდი თავს! მირჩევნია ასე ვიმართლო თავი, ვიდრე თქვენგან მოწყალება მივიღო. არც სამსჯავროს წინაშე და არც ომში, არც სოკრატეს და არც სხვა ვინმეს არ აქვს უფლება სირცხვილის ფასად დააღ-

ნიო სიკვდილს თავი. ბრძოლაში ხშირად აშკარაა, რომ შეიძლება სიკვდილს გაექცე, დაყარო იარაღი და მდევარს ხელში ჩაუვარდე. იმისათვის, რომ საფრთხეს დაუსხლტე, არსებობს მრავალი ხერხი, მხოლოდ ისაა, კაცმა ხელი უნდა აიღოს სინდისზე.

ათენელებო, არც ისე ძნელია სიკვდილისაგან თავის დაღწევა, გაცილებით უფრო ძნელია თავი დააღწიო სულიერ სიკვდილს, ის უფრო სწრაფია და უფრო მალე ეწვევა თავის საბრალო მსხვერპლს. ეს მე ვარ ნელი და მოხუცი, რის გამოც უბედურება მალე დამეწია, მაშინ, როდესაც ჩემი ბრალმდებლები, რომლებიც არიან ძლიერები და მოქნილები, უფრო სწრაფები აღმოჩდნენ. მე ჩემი განაჩენის ანაბარა ვრჩები, ისინი — თავიანთი სასჯელის ამარა. მოხდა რაც უნდა მომხდარიყო, მაშ, მოხდეს რაც მოსახდენია!

XXX.–ახლა კი ათენელებო, მე მინდა მომავალი ვუწინასწარმეტყველო-ჩემს ბრალმდებლებს, ის დროა, როცა კაცში მისნობის ნიჭი იღვიძებს,-- ასე სჩვევია სიკვდილის მოახლოებას. იცოდეთ ათენელებო, რომ ვინც მე გამწირა საშინელი უბედურება დაატყდება თავს, უფრო მძიმე, ვიდრე სიკვდილია, რომელიც მომისაჯეთ, ვფიცავ ზეუსს! მოგეკლინებათ ასჯერ მეტი მამხილებლები, -- აქამდე მე მათ ვაკავებდი და ეს მით უფრო მძიმე და აღმაშფოთებელი იქნება თქვენთვის, რაც უფრო ახალგაზრდები არიან ისინი. თუ ფიქრობთ, რომ სიკვდილს შანთით ამოწვავთ და ამოძირკვავთ თქვენი უსამართლობისა და უკეთურობის მამხილებელთ?! ცუდი ხერხი აგირჩევიათ თავდასასხმელად. თუ გნებავთ, მე გასწავლით ყველაზე მარტივ ხერხს: სხვას ნუკი ჩრით პირში ბურთს, ეცადეთ თავად გახდეთ უკეთესები. ამ წინასწარმეტყველებით გემშვიდობებით ჩემო ბრალმდებლებო!

XXXI--- მაგრამ თქვენ, ვინც გამამართლეთ,

სურვილი მაქვს გესაუბროთ იმის შესახებ რაც ეხლა მოხდა, სანამ მოსამართლეები არიან დაკავებულნი და ჯერ კიდევ არ წაუყვანივარ იქ, სადაც უნდა მოვკდე. ნუ მიმატოვებთ ჩემო მეგობრებო, მოდით ვისაუბროთ სანამ ხელს არაფერი გვიშლის, სანამ ნებას გვრთავენ. თქვენ, ჩემს მეგობრებს მინდა გაგიმჟღავნოთ ფარული აზრი, რაც ეხლა მომივიდა. ძვირფასო მოსამართლენო.[30]-- ჩემს თავს, თქვენ კი უყოყმანოდ შემიძლია მოსამართლეები გიწოდოთ, ---- უცნაური რამ მოხდა, მაშ რას უნდა მივაწეროთ ეს უცნაური ამბავი, რომ თუ ადრე გრძნეული ხმა გამუდმებით მეჩურჩულებოდა, გასაქანს არ მაძლევდა, თვით ყველაზე კრიზისულ დროს და უკულმართი ნაბიჯის გადადგმის ნებას არ მაძლევდა,ახლა როცა თავს დამატყდა ის, რასაც ხედავთ და რასაც ყველა ერთსულოვნად მიიჩნევს უდიდეს უბედურებად, --ღმერთის სიტყვამ თუ ღვთიურმა გამოცხადებამ ერთხელაც არ შემიშალა ხელი არც დილით, როცა სახლიდან გამოვედი, არც სამსჯავროზე შემოსვლის დროს და არც სიტყვის წარმოსთქმისას, მიუხედავად იმისა, თუ რის თქმას ვაპირებდი. ადრე, რაც არ უნდა მეთქვა ყოველთვის მაჩერებდა, ეხლა კი ერთხელაც არ გაუჩერებივარ, რას მივაწერო ეს? მოგახსენებთ: ეს ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ მოხდა და როგორც ჩანს, სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სიკვდილი ბოროტებაა. მე ამის უტყუარი საბუთი მაქვს: გაანა ასე ულვრთოდ გამწირა უფალმა, მართლა უკეთური ზრახვები რომ მქონოდა გულში?

XXXII.--- ამასაც დაუკვირდით: რამდენი რამ გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სიკვდილი სიკეთეა, მართლაც და ორში ერთია: სიკვდილის შემდეგ ადამიანი ველარაფერს იგრძნობს ანდა თუ ძველ თქმულებებს დავეყრდნობით, სიკვდილი არის სულის ფერის ცვალება და სხვა ქვეყანაში

გადასახლება. თუ სიკვდილი არის ყველა გრძნობის ჩაქრობა და თავს უყრის თვლემას, სადაც ვერაფერს ვხედავთ, როგორც ძილში, საუკეთესო სურვილია, რომ მოკვდე. თუ ამგვარად უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი ღამე, სადაც გავატარებთ ძილს სიზმრის გარეშე, რომ შეადარო სხვა ღამეებს და სხვა დღეებს ცხოვრებისას და თუ საჭიროა ამ ცდების შემდეგ დაითვალო, მთელი სიცოცხლის განმავლობაში რამდენი დღე და ღამე იყო უფრო ბედნიერი ვიდრე ის ღამე,-- ვფიქრობ, არა მარტო ბეჩავი მდაბიონი, არამედ თვით დიდებული მეფეც უყოყმანოდ გადაწყვეტდა, რომ მთელი მისი სიცოცხლე სხვა არა ყოფილა რა, თუ არა გამუდმებული ტანჯვა-ვაება ამ ორიოდე ნეტარ ღამესთან შედარებით. და თუ ესაა სიკვდილი, ალბათ არ ვცდები, როცა უფლის წყალობას ვუწოდებ მას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მარადისობა მხოლოდ ერთ ასეთ ღამედ წარმოგვიჩნდება.

მეორეს მხრივ, თუ სიკვდილი არის მხოლოდ გარდაცვალება, სულის გადასვლა სხვა ქვეყნად და თუ მართალია, რომ ამბობენ იქ ერთად თავს იყრიან მიცვალებულები, რა შეიძლება იყოს ამაზე დიდებული მოსამართლეებო? ბოლოს და ბოლოს სამოთხეში მოხვედრისას განვთავისუფლდები ამ თვითმარქვია მოსამართლეებისაგან, რადგან იქ შეხვდები ჭეშმარიტ მოსამართლეებს, რომლებიც გადმოცემით განიკითხავენ მიცვალებულთა სულებს-- მინოსის, რადამანთისის, ეაკეს ტრიპტოლემონისა.[31] და ყველა იმ ნახევარღმერთის წინაშე, რომელსაც ამქვეყნიურ სიცოცხლეშიც კი ვერავინ შეედრებოდა სამართლიანობით, რას იტყვით, განა ბოროტება ეთქმის ამნაირ გადასახლებას?

ესეც არ იყოს, რა დიდი პატივია თითოეული ჩვენთაგანისათვის ორფევსის მუსეოსის.[32] ჰესიოდეს, ჰომეროსის გვერდით ყოფნა. მე მზად ვარ მოვკვდე მრავალჯერ, თუკი ეს არის სიმართლე,

რადგან სხვისი რა მოგახსენოთ, ჩემთვის ენით უთქმელი ბედნიერება იქნებოდა შევხვედროდი პალამედესს[33], აინტთან.[34] ტელამონის ძესთან, და სხვა მრავალ ნინაპარს, რომლებიც მათსავით უსამართლო მსჯავრის მსხვერპლი გახდნენ. მიმაჩნია, რომ სასიამოვნო იქნებოდა ჩემი ბედის შედარება მათ ბედთან, მაგრამ ჩემი დიდი სურვილი იყო გამეტარებინა დრო, ესე იგი ზუსტად ისე გამომეცადა ისინი, ვინაა ჭეშმარიტად ბრძენი და ვინ მხოლოდ თავს გვაჩვენებს ბრძენად, სინამდვილეში კი მათ სიბრძნის არაფერი სცხიათ რა. რას არ მისცემდით მოსამართლენო, რომ გამოგეცადათ ის, ვინც ურიცხვი ლაშქარი[35] მიაყენა ტროას გალავანს, ან ოდისეი, სიზიფე[36] და ბევრი სხვა სახელოვანი კაცი თუ ქალი; რა ნეტარება უნდა იყოს მათთან სიახლოვე, მათთან საუბარი, მათი გამოცდა. თუ გადმოცემა მართალს გვაუწყებს, ჰადეში ამისათვის არავინ დაგსჯის სიკვდილით და არა თუ ბედნიერი იქნები არამედ იქნები უკვდავი.

XXXIII–მაგრამ თქვენ, ჩემო მოსამართლენო, ნურაფერს ავს ნუ მოელით სიკვდილისაგან, რადგან თუ ამ ქვეყნად რამეა მართალი, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ კეთილი კაცის ხვედრი კეთილია სიცოცხლეში, ასე სიკვდილის შემდეგაც ღმერთები მზრუნველობას არ აკლებენ მას. ჩემი ამბავიც არ არის შემთხვევითი და ნათლად ვხედავ, რომ მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე დავიტანჯო. ამიტომაც არ გამაჩერა უფლის გრძნეულმა ხმამ მაშინ როდესაც ბრალმდებლებმა ბრალი დამდეთ სიკვდილით, სწორედ ამიტომ არ ვრისხავ ჩემს ბრალმდებელთ და ჩემს გამწირველთ, თუმცა ამ მიზნით როდი წამომიყენეს ბრალდება და გამომიტანეს სასიკვდილო განაჩენი, არამედ სურდათ რაიმე ევნოთ ჩემთვის,-მხოლოდ ესაა მათში გმირობის ღირსი. მაინც ერთი სათხოვარი მაქვს

თქვენთან. როდესაც ჩემი შვილები გაიზრდებიან ათენელებო, დასაჯეთ და გაიცხეთ, როგორც მე თქვენ გსჯიდით, თუ შეატყობთ, რომ ფულისთვის უფრო ზრუნავენ ვიდრე სიქველისთვის ზიზღით ჰგმეთ და ულირსნი უნოდეთ, ზუსტად ისევე, როგორც მე გგმობდით თქვენ, შერისხეთ, თავს ლაფი დაასხით, შეაჩვენეთ, როგორც მე გრისხავდით თქვენ, სწორედ ამით მოგვაგებთ კუთვნილს მეც და ჩემს ვაჟებსაც.

უკვე დროა, წავიდეთ: მე – რათა მოვკვდე; თქვენ-რათა იცოცხლოთ. ღმერთის გარდა არავინ არ იცის თუ რა არის ჩვენთვის საუკეთესო.

♦ ახსნა გაემარტება

ჰელიასტეს სასამართლო, სადაც გაასამართლეს სოკრატე 6000 წევრისაგან შედგებოდა, არჩეულნი იყვნენ კენჭისყრით, 600 კი გვარების მიხედვით. მაგრამ ყველანი არ ესწრებოდნენ სხდომებს. ჩვეულებრისამერ, სასამართლო შედგებოდა 500 ან 501 მოსამართლესაგან ან ხანდახან 1000 ან ზოგჯერ 300 400 კაცისაგან. სასამართლო, რომლის წინაშე სოკრატე წარსდგა შედგებოდა 500 ან 501 მოსამართლესაგან.

ახსნა განმარტება

♦ პრიტანე---- არის შენობა, სადაც იკრიბებოდნენ ბერძენი სენატორები(ან მოსამართლეები) ეს იყო მსგავსი დღევანდელი საფრანგეთის ასამბლეა და სენატისა.

ეს კომიკური პოეტი არის არისტოფანი, რომელიც გამოაშკარავდება მალე

[2] არისტოფანი ,,ნაწარმოები (ავდრიანი ღრუბელი)ნუე 128 გვერდი და გაგრძელება.

[3] გორგიაზე ნახეთ გორგია; პროდიკოსე და ჰიპიაზე, ნახეთ პროტაგორაზე.

[4] საქმე ეხება ევენოს დე პაროს, რომელიც იყო ერთდროულად სოფისტიც და პოეტიც.

[5] მდიდარი კალიას, რომლის სახლი სოფისტების შეხვედრის ადგილი იყო, ეკუთნოდა მქადაგებლის ოჯახს, ტრიპტოლემეს დროიდან მოყოლებული. მემკვიდრეობით ელიოსის ცეცხლის მატარებელი იყო და მასპინძელი სპარტისა.. მისი მამა ჰიპონიკოსი, 426 წელს ტანაგრაში დაამარცხა ბეოტიენელები (ბეოტიენელების მკვიდრი) და ორი წლის შემდეგ დელიონის ბრძოლაში დაილუპა. თვითონ იყო სარდალი კორინთეს ბრძოლაში 390 წელს. დედამისი კი გათხოვდა მეორედ პერიკლეზე.

[6] კარეიფონი წარმოდგენილია სოკრატეს გვერდით არისტოფანის ნაწარმოებში(ნუე ანუ ღრუბელი 104,144,503,831,1465,1505) ეს იყო სუსტი ადამიანი, ავადმყოფი. ეპოლისი მას ეძახდა ყვითელს როგორც ბზას. არისტოფანის ნაწარმოებში (ჩიტები) მას ერქვა ღამურა (1296 1564) რადგან ის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მხოლოდ საღამოს გამოდიოდა გარეთ. კარეიფონის ძმა იყო კარეიკრატე, რომელიც წარმოდ-

გენილია ქსენოფონის ნაწარმოებში. (სამახსოვრო)

[7] ძალლის ფიცს ერქვა რადამანტის ფიცი, წარმოშობით იყო ორფოული. ხსანტიას მონა აგრეთვე იფიცება ძაღლზე არისტოფანის ნაწარმოებში. (კრაზანები)

[8] სოკრატე ხშირად იფიცება ერაზე. ეს ლოცვის სახელი არის ქალების ხშირი საფიცარი. მამაკაცები იფიცებიან ზევსზე ან ჰერაკლეზე.

[9] ანაქსაგონი დაიბადა კლაზომენში, V საუკუნის დასაწყიში, ასწავლიდა, რომ ქაოსი მოდიოდა სულიდან. მან იცხოვრა ათენში, სადაც ის დაუმეგობრდა პერიკლეს. ბრალი დასდეს ღმერთების უარყოფაში, მან დატოვა ათენი და გაემგზავრა ლამპსაკისკენ სადაც ის გარდაიცვალა 828 წელს.. მან თავისი დოკტრინა წარმოადგინა თავის ნაწარმოებში. (ბუნებაზე)

[10] (orchestra) ტიმეს ლექიკონი გვასწავლის, რომ ეს სახელი გამომდინარეობს არა მხოლოდ თეატრის პარტერისაგან, არამედ ნიშნავს ქალაქის სახალხო ადგილს სადაც აღმართულია ჰარმოდიოსისა და არისტოჟიტონის ქანდაკებები. უეჭველია ამ ადგილზე იყიდებოდა წიგნები.

[11] პოტიდე--- შალსიდიკების ქალაქი, რომელიც ბერძნების წინააღმდეგ 432 წელს აჯანყდა. ორი წლის აღყის შემდეგ ბერძნებმა ეს აჯანყება ჩააქრეს. ამ ბრძოლის დროს სოკრატემ გადაარჩინა ალსიბაიდსეს სიცოცხლე.

[12] ამპიოფილი–იყო ბერძნების კოლონია სტრიმონის საზღვრებთან ტრასეში. კლეონი, რომლიც იცავდა კოლონიას, მოკლულ იქნა 422 წელს სპარტელი ბრასიდას მიერ, რომელიც დაილუპა ბრძოლაში.

[13] დელიონი–იყო ადგილი ბეოტიაში ბრძოლის ველი 424 წელს, სადაც ბეოტიელებმა გაანადგურეს ბერძნები.

[14] პრიტანია--- პრიტანელები იყვნენ კომისიის წევრები ერთიდაიგივე გვარის შექმნილი სენატორების მიერ, რათა გაეგზავნათ საქმეები. ორმოცდაათი წევრისგან არჩევდნენ ათ პრიტანელს (სენატი შედგებოდა 500 კაცისაგან)

ისინი თითოეულ სენატს ხელმძღვანელობდნენ წლის მეათე ნაწილში. პრეტანელები ნიშნავდნენ კენჭისყრით თავმჯდომარეს, რომელიც ასრულებდა მხოლოდ თავის

ფუნქციას მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში და ერთი ღამის განმავლობაში.

[15] გენერლები---საქმე ეხება იმ ათ გენერალს, რომლებიც მეთაურობნენ ბერძნულ გემებს აღგინუსის ბრძოლაში 407 წელს. მათ გაანადგურეს სპარტანელების ხომალდები, რომელსაც მეთაურობდა კალიკრატიდა. ქარიშხლის გამო ცხედრები ვერ გადაარჩინეს, რვა მათ შორის და არა ათი ერთად გაასამართლეს, და მიუსაჯეს სიკვდილი. ექვსი მათ შორის იქნა დახვრეტილი; ორი დანარჩენი, რომლებიც არ დაბრუნდნენ ათენში სიკვდილს გადაურჩნენ. ნახეთ ქსენოფონიაში (ჰელენიკური 1,7.)

[16] ტოლოსა იყო მრგვალი ოთახი, სადაც უბრალოდ იკრიბებოდნენ პრიტანელები და სადაც ერთად ჭამდნენ.

[17] ლეონ დე სალამინი იყო ძველი სტრატეგი დემოკრატიული პარტიის წევრი, და იყო მდიდარი ვიდრე ტრანტელები, ამის გამო ის სიკვდილით დასაჯეს.

[18] კრიტონი–ალოპეკეს ოლქიდან (საბერძნეთის ძველი და ახალი ადმინისტრაციული დანაყოფი), დიალოგებში მოსაუბრე, როგორც სოკრატე, რომელიც ამ სახელს ატარებს. მის ვაჟის რომელსაც ერქვა კრიტობული იყო ელეგანტური გარეგნილი, რომელიც აისახა ნაწარმოებში (მეხსიერებაში1 2 8 თავებში) ქსენოფონის ნაწარმოებში (ნადიმი) ასევე სპეტოს დე ესშინეს ნაწარმოებში(ტელაგუსი)

[19] ესშინე--- ესიში დე სპეტოსი იმისათვის, რომ განვასხვავოთ ორატორებისაგან, დაწერა სოკრატული საუბრები, რომლის ფრაგმენტებმაც ჩვენამდე მოაღწია ესენია ასიბიადე, მილტიადე, კალიასი, აქსიოშო, ასპასი, ტელოჟე და რინონი.

[20] ეპიჟენი---წარმოდგენილია ქსენოფონის ნაწარმოებში, როგორც ერთ-ერთი სოკრატეს მოსწავლე და აგრეთვე ის წარმოდგენილია პლატონის ნაწარმოებში ფედონში. არ უნდა აურიოთ მისი მამა ორატორ ანტიპო დე რამონტეში.

[21] თეოდორე--- ნიკოტრაული და თეოდორე, ისევე როგორც ძმები თეოზოტიდეები უცნობები არიან.

[22] თეადესი---დემოტოკო და თეაჟესი უფრო ხანში შესულები არიან ვიდრე სოკრატე, მათ მალალი თანამდებობები ეკავათ. სავარაუდოდ ეს ის სტრატეგია, რომელიც დასახელებული იქნა ტუსიდის ნაწარმოებში IV პა-

რაგრაფი, V თავი. ჩვენ არაფერი ვიცით მისი შვილის პარალოსის შესახებ.რაც შეეხება თეაჟეს ის ნახსენებია რესპუბლიკაში 496 პარაგრაფი, ბ პუნქტში..

[23] ადიმანტე--- ამ მონაკვეთის მიხედვით ის სავარაუდოდ მოხუცი იქნებოდა ვიდრე მისი ძმა პლატონი. ის ნახსენებია ფლოკონთან ერთად პლატონის სხვა ძმასთან, წარმოადგენს მთავარ მოსაუბრეს რესპუბლიკაში. რაც შეეხება პლატონს, ეს მონაკვეთი არის იმ სამ მონაკვეთთა შორის, როცა მას ახსენებს ნერილის გარეშე. დანარჩენი ორი შედის აპოლოგიაში 38 პარაგრაფი ბ პუნტი და პედონში 59 პ. ბ პუნკტი.

[24] აპოლოდორე---არის პლატონის მოსწავლე, რომელიც ყვება პლატონის ნადიმს ქსენოფონი მის სახელს აიგივებს ანტისტენტან. ის ესწრება სოკრატეს სიკვდილს. მისი ძმა აინტოიდერე არ არის ცნობილი.

[25] ოდისეიდან ჰომერი XIX 163

[26] მოზარდი26 უფროს ქვია ლამპროკლე, ორ პატარას სოფრონისიკი და მენექსენი

[27] პროცესების დროს როგორიც არის ეს პროცესი, სადაც განაჩენი არ დგინდება კანონით, თავდაპირველად მოსამართლეს გამოაქვს ვერდიქტი. თუ ეს განაჩენი არის სიკვიდილით დასჯის განაჩენი, ბრალდებულს უხმობენ, რათა თავის თავს გამოუტანოს განაჩენი, და მოსამართლე ირჩევს ან ბრალმდებლის ან ბრალდებულის განაჩენს.

[28] ხმის მერყეობა სავარაუდოდ სოკრატეს წინააღმდეგ იყო 280 მოსამართლე, და 220 მომხრე. დიოჟენ ლაერსის მიხედვით 280 ნაცვლად იყო 281. და თუ ეს უკანასკნელი ციფრი სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სოკრატე ამბობს დამრგვალებულ ციფრს.

[29] ეს თანხა უდრის 10 დრამს ან 98 ფრანკს.

[30] პირველად სოკრატემ გამოიყენა ეს ტერმინი, და მიიჩნია სწორად და სამართლიანად.

[31] ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ტრიპტოლემე წარმოდგენილი იყო როგორც მკვდრების მოსამართლე, თუმცა ის იყო წარმოდგენილი ანტიკურ ვაზაში ეაქესთან და რადამატესთან მინოს მოედანზე, რომელიც ბუნებრივად არაპოპულარული იყო ათენში.

[32] არიან დაწყვილებულები ერთად, როგორც დოკტრინების კრებული პროტაგონას ნაწარმოებში316 გვერდზე და რესპუბლიკას ნაწარმოებში 364 გვერდზე და აგ-

რეთვე ამგვარად არისტოფანის ნაწარმოებში სახალხო ფულში 1032 გვერდზე.

[33] პალამედე სრულიად არ იყო ცნობილი ჰომერის ნაწარმოებში ლეგენდის მიხედვით მიღებულია ტრაგიკულ პოეტებში მან გამოიწვია ულისეს სიძულვილი იმის გამო, რომ ფარდა ახადა სიგიჟეს, რომელიც თვალთმაქცობდა, არ წასულიყო ტროუაში. შურისძიებისთვის ულისემ დამალა ოქრო მამიდამისთან, დააბრალა მას, რომ მიიღო პრიამი, რათა გაეყიდა ბერძნები და ის ქვებით ჩაქოლეს. ქსენოფონის აპოლოგიაში(26) სოკრატე იქნა თავის ბედს პალამადეს ბედს იქნა..

[34] აჯაქსის შემთხვევა არის განსხვავებული პალამედისაგან, რადგან მან თავი მოიკლა, მაგრამ სოკრატეს აზრით აჯაქსი იყო უსამართლობის მსხვერპლი, რომელმაც უბოძა იარაღი არქილევს ულისეში.

[35] ის ვინც უძღვოდა დიდ არმიის ტროუაში იყო აგამემონი--უმაღლესი სარდალი ბერძნების.

[36] ულისე და სისიპე ჰომერის მიხედვით ყველაზე დიდი გაიძვერები იყვნენ, არიან გამონაკლისები იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც თავი ჭკვიანები ეგონათ.